

IX წ.

საქართველოში გაზეთი.

IX წ.

№ 7.

კვირა, 11 თებერვალი 1901 წელსა.

№ 7.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

**ხელის-მოწერა მიადება:** თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „ქვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

**ბელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

**შინაარსი:** მე-XIX ს. მოღვაწენი—შინაური მიმოხილვა—სხვა-დასხვა ამბები.—კარგსაზღვრები.—წერილი გურიიდან.—ჩვენი საშინაო საქმეები ამ ათს წელიწადს მათუსალასი.—პატარა წერილი არა-ისტორიკოსისა.—ქუთაისის ოპოზიციის ალიაქოთი studiosus.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—ცოლი და ქმარი მოთ.ეგ. ნინო შვილისა.—გიორგის „უაღუსტი-დან“ ნაწყვეტები დ. წახუცრიშვილისა.—ბიბლიოგრაფია.—ქურნალ-გაზეთებიდან.—მეცნიერება და მეცნიერი დ. თოფურისისა.—ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა სურათის გამო“ ი. კაკაბაძისა.—გურიის შეაბრუნებულთა საყურადღებოდ ს. ქეიშვილისა.—ჩვენებურ მთარგმნელთა საყურადღებოდ სტ. ვ. შ—სი. სამეცნიერო ცნობები.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებები.

## მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.


### I. პოლიტიკოსები.

#### 3. ტ ა ე რ ი.

ნაპოლეონის დაცემას, როგორც წინა წერილშიაც ვთქვით, მოჰყვა დიდი რეაქცია. განსაკუთრებით მოინდომეს ახალი აზრების თვით საფრანგეთში ჩაქრობა. და აი, ამაში დაინახეს თავიანთი მოწოდება საფრანგეთის ახალ დაყენებულ მეფემ ლიუდოვიკ მე-XVIII-მ და მისმა მემკვიდრემ კარლ X-მ. ამათ, როგორც ბურბონელთა ჩამომავალთ, მოინდომეს, რაც შეიძლება, ძველი წესების აღდგენა და რევოლიუციის მერმინდელი ამბების ცხოვრებიდან აღმოფხვრა. საარჩევნო უფლებები სრულიად შეიზღუდა, პრესის თავისუფლება მოისპო, მოქალაქის თავისუფლება პოლიციას დაექვემდებარა—ერთი სიტყვით, ძველი არისტოკრატიული უფროსობა რამდენიმეთ ძალაში შევიდა. ყველა ამან გამოიწვია დიდი წინააღმდეგობა ბურჟუაზიისა და აი ამ კლასმა წარმოშობა ლიბერალთა დიდი პარტია ახალი აზრების ცხოვრებაში გასატარე-

ბლათ. ეს პარტია განიყოფებოდა ორ ფრაქციად: მემარჯვენედ და მემარცხენედ; პირველს მეთაურობს გიზო, ხოლო მეორეს—ადოლფ ტიერი.

ტიერი დაიბადა 1797 წ. მარსელში; შეისწავლა იურისპრუდენცია, ისტორია, ეკონომია, პოლიტიკა და 1821 წ. ჩამოსახლდა პარიჟში. ამ დროს მან დასწერა „საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია“ ათ ტომად, სადაც ის ენერგიულად იცავს რევოლიუციის დედააზრებს. ამ თხზულების გამოქვეყნებამ ის ხელათ დააყენა ლიბერალთა სათავეში. არმან კარელ და ოდილიონთან ერთად 1 იანვარს 1830 წ. მან დააარსა ცნობილი ლიბერალური გაზეთი „National“ და თავისი პროგრამა ასე მოკლეთ გამოაცხადა: Le roi regne, il ne gouverne pas—მეფე მეფობს, ის არ განაგებს, ე. ი. მას სურდა მეფე ლიბერალური კონსტიტუციით. და რადგანაც ბურბონელთა ჩამომავალნი ამ აზრს არ ეთანხმებოდნენ, ამისათვის ტიერმა გადასწყვიტა ორლენელი ჰერცოგის გამეფება. ამის



ტ ი ე რ ი.

შემთხვევამაც არ დაიგვიანა. 1830 წ. კარლ მე-X-მ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით ისპობოდა მწერლობის თავისუფლება, საარჩევნო უფლებები მხოლოდ არისტოკრატისა და მემამულეთ ეძლეოდა, დეპუტატთა რიცხვი 430-დან 262-ზე ჩამოდიოდა, ახლად არჩეული ლიბერალური პარლამენტი იშლებოდა, პარიჟი სამხედრო პირობებში დგებოდა და სხ. ამ ბრძანების წინააღმდეგ ტიერის მეთაურობით გამოიკა პროკლამაცია და გაზეთებში გამოქვეყნდა. ამავე დროს შესდგა რადიკალ-დემოკრატიული კომიტეტი აჯანყების მოსახდენათ, რომლის ბელადობა იტიერთა ლაფაიეტრმა. 28 ივლისს ადგა პარიჟის ხალხი და მეფის ჯარებს შეებრძოლა. ჯარი ძლეულ იქმნა და მეფემაც გადასწყვიტა ბრძანების უკან წაღება, მაგრამ გვიანი იყო: აჯანყებულთა დროებითი მთავრობამ კარლ მე-X ტახტიდან გადააყენა და ორლეანის ჰერცოგი მეფედ მოიწვია. ტიერმა ჰერცოგი შამოიყვანა პარიჟში 30 ივლისს და ისიც აგვისტოში ლიუდოვიკ ფილიპეს სახელით ტახტზე ავიდა. ამ ნაირათ შესრულდა ტიერის და მასთან ერთათ ლიბერალთა სურვილი. ახალი მეფე პირველი მეფე იყო ლიბერალების მიერ ტახტზე აყვანილი. მოისპო ცენზურა და პრესას თავისუფლება მიენიჭა. კარლ მე-X ბრძანება გაუქმებულ იქმნა და მისი მინისტრებიც პასუხის-გებაში მისცეს. ერთი სიტყვით, ძველი არისტოკრატია მოშორდა ტახტს და მას ბურჟუაზია (განსაკუთრებით მაღალი ბურჟუაზია) დაუახლოვდა. ახალი მეფის პოლიტიკა აი ამ ბურჟუაზიის პოლიტიკა შეიქმნა. ლაფაიეტი დაინიშნა გვარდიის მეთაურად, ხოლო ტიერი—ფინანსთა სამინისტროს მთავარ სეკრეტარად.

მაგრამ ახალი ბურჟუაზიული მთავრობა სრულებით არ აკმაყოფილებდა ხალხს, დემოკრატისა. დემოკრატთა მიზანი იყო რესპუბლიკა და არა მეფობა და აი, ამან თავი იჩინა 1831 წ. ლიონის აჯანყებით. აქა-იქ გაჩნდა საიდუმლო საზოგადოებები მეფობის დასამხობათ. ამ მოძრაობის წინააღმდეგ ამხედრდა ლიბერალთა მთავრობა და ტიერის და გიზოს მეთაურობით შეუდგენ ხალხის მოძრაობის ძალად ჩაქრობას. ლიონის აჯანყება დაბოლოვდა აჯანყებულთა სისხლის ღვრით. ტიერს განშორდნ წინანდელი რესპუბლიკანელი მეგობრები და მიემხრნენ დემოკრატისა. 1832 წ. ტიერი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად და მან სასტიკი ზომები მიიღო დემოკრატის წინააღმდეგ. 1836 წ. ის დაინიშნა მინისტრთა პრეზიდენტათ, მაგრამ ისპანიის საქმეთა შესახებ უკმაყოფილება მოუვიდა მეფესთან და სამინისტროსაგან გადადგა. 1840 წ. ის ხელ ახლა მიიწვიეს მინისტრ-პრეზიდენტათ და ჩააბარეს საგარეო საქმეებიც. იმან მოინდომა აღმოსავლეთის საქმეში ენერგიული მონაწილეობის მიღება, რის გამო მეფესთან კიდევ უკმაყოფილება მოუვიდა და სამსახურიდან გადადგა.

დემოკრატია მაინც ჩუმათ, მაგრამ შედგრათ მუშაობდა და აი 1848 წ. თებერვალში კიდევაც იფეთქა რევოლიუციამ. მეფე გაიქცა და რესპუბლიკა გამოაცხადეს. ტიერი ვერ შეურიგდა რესპუბლიკას, მან შეადგინა დეპუტატებისაგან ახალი ჯგუფი მეფის უკან დასაბრუნებლათ. ამავე დროს ის ეწინააღმდეგებოდა ნაპოლეონთა საფრანგეთში გამეფებას. ამისათვის 1851 წ. როცა ნაპოლეონ მესამემ ხელში ჩაიგდო ქვეყნის მართვა-გამგეობა, ტიერი გააძევეს სამშობლოდან. 1852 წ. ისევ უკან დააბრუნეს,

მაგრამ, პოლიტიკისაგან განშორებული, ისტორიის მკვლევას შეუდგა. 1863 წ. ის აირჩიეს დეპუტატთა და ნაპოლეონის მოწინააღმდეგეთა რაზმს მიემხრო. განსაკუთრებით ის ებრძოდა ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკას. 1870 წ. დაეცა ნაპოლეონი (საფრანგეთ-გერმანიის ომი) და საფრანგეთი რესპუბლიკათ გამოცხადდა. ტიერი პარლამენტმა აარჩია აღმასრულებელ კომიტეტის უფროსათ. ის უმოწყალოთ მოეპყრა პარიჟის აჯანყებულ მუშებს (კომუნარებს) და რამდენიმე დღეში 20 ათასზე მეტი პარიჟელი დაახვრეტია, 1871 წ. აგვისტოში ტიერი აირჩიეს რესპუბლიკის პრეზიდენტათ; პარლამენტის უმრავლესობა მაშინ მონარქისტები იყვენ და ტიერის იმედი ჰქონდათ, ის უთუოთ მეფობას შემოიღებსო. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ, ტიერმა გამოიკვალა უწინდელი მონარქიული აზრი და რესპუბლიკას მიემხრო. მონარქიელებმა დასცეს ის (1873 წ.), 1876 წ. არჩეულ იქმნა დეპუტატათ, 1877 წ. ხელიმოაწერა გამბეტას მანიფესტზე რესპუბლიკის დასაცველათ და ამავე წელს გადაიცვალა.

ამნაირათ, ტიერი იყო ტიპური წარმომადგენელი საფრანგეთის საშუალო და მაღალი ბურჟუაზიისა; ის ერთის მხრით ეწინააღმდეგებოდა კონსერვატორთა მტარვლობას და მეორე მხრით დემოკრატთა მოძრაობას. პირველ შემთხვევაში თუ ის პროგრესისტი იყო, მეორეში-კი რეაქციონერი. ამისათვის დღეს მის შესახებ ორი აზრი ტრიალებს: ბურჟუაზია ქება-დიდებას ასხამს, მუშა ხალხი კი წყევლა-კრულვას, განსაკუთრებით კომუნარების დახვრეტის გამო. საზოგადოთ ის იყო ნამდვილი თანამედროვე ბურჟუა და სწამდა მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილება. ამ წყობილების დამაგრებას და გაბატონებას შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე.

შინაური მიმოხილვა.

თფილისის ნაფიც ვეჟილთა და მათ თანაშემწეთა შორის აღძრულა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაარსონ ვეჟილთა კანტორა ღარიბ ხალხისათვის მუქთათ დარიგების მისაცემათ. და მართლაც, არც ერთ დიდ ქალაქში ისე აბლაკატების ანაბარათ არ არის მიშვეებული მუშა ხალხი, როგორც თფილისში. მას თანდათან სჭირდება კანონების ცოდნა, თავის და სხვისი უფლებების გაგება, და არავინ არის ეს მისი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ასე გასინჯეთ, მწერლობაშიაც-კი ვერ შეხვდებით იურიდიული კითხვების ხალხისათვის გასაგებათ ახსნას და გარკვევას. ამაში ერთიანათ ჩვენი ადვოკატებია დამნაშავე. ინტელიგენციის არც ერთი ნაწილი ისე უსარგებლოთ არ არის საზოგადოებისათვის, როგორც ჩვენი იურისტები. კანონის ცოდნა ამათ თავის პრივილეგია ჰგონიათ და სრულიადაც არ ფიქრობენ ხალხიც გახადონ ამ პრივილეგიის მონაწილე. ქართულ ენაზე ერთი წიგნიც-კი არ მოიძებნება ისეთი, სადაც საყოველთაო საჭირო კანონები ანუ-სხული იყოს. ამნაირათ, ჩვენმა ხალხმა არც თვითონ იცის კანონები და არც არავინ ჰყავს იაფათ და სწრაფათ მიმწოდებელი, ასეთ გარემოებაში ვეჟილთა კანტორის დაარსება სწორედ მანანათ ჩაითვლება. აქ ყველას თავისუფლათ შეეძლება მისვლა და ცნობების მიღება. მართალია, თფილისში არსებობს ვეჟილთა კაბინეტი, სადაც



ღარიბებს მუქათა შეუძლიანთ ღარიბების მიღება, მაგრამ ეს მხოლოდ ქალაქზეა გაწესდებული, ნამდვილათ-კი არც ვინმემ იცის მისი არსებობა და არც თვითონ კაბინეტის წევრი იწუხებენ თავს, ასეთი გაჭირებული კლიენტები დაიხლოვონ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვეჭილთა კანტორა ადრე დაარსდება თფილისში და ამას მიბაძვენ სხვა ჩვენი ქალაქების იურისტებიც.

\* \* \*  
 ეს ერთი ხანია აქაურ რუსულ გაზეთებში კამათია იმის შესახებ, თუ სად აშენდეს სახალხო სახლიო. სახალხო სახლი განსაკუთრებით დაბალი ხალხისათვის არის დანიშნული. ამისათვის ისეთ ალაგას უნდა აშენდეს, სადაც მუშა-კაცს ადვილათ შეეძლება მისვლა და დროს გატარება. ასეთი ადგილი უეჭველია კუკია არის. ქალაქის ამ ნაწილს აკრავს სახელოსნოების და ფაბრიკა-ზაოდების უმრავლესობა. სახალხო სახლის ამშენებელ კომისიას-კი გადაუწყვეტია სახლი ვერაზე, მტკვრის პირას, ააშენოს. ეს, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი ცენტრია ქალაქისათვის; არ ვიცით, საიდან ვინ უნდა მივიდეს იქ. თფილისის ყველა მცხოვრებთათვის, გარდა ვერელებისა რასაკვირველია, შორს არის ეს ადგილი, ხოლო ფაბრიკა-ზაოდები სრულებით სიახლოვეს არ არიან (ახლოს არის მხოლოდ სარაჯიშვილის ზაოდი). ამას თვითონ კომისიაც გრძნობს და თავის გასამართლებელ საბუთათ ისმოჰყავს, რომ სხვაგან ალაგი ვერ ვიშოვეთო. მაგრამ ეგ სადაური საბუთია, მაშ დიღომშიაც შეეძლო აშენებია, რადგანაც იქ ძალიან ბევრი თავისუფალი ადგილია? აქ ხომ მარტო ადგილის შოვნაში არ არის საქმე, თუ-კი ხალხი ვერ მიწვდება, რანაირი სახალხო სახლი იქნება, არ მესმის. უკეთესია ცოტა დაგვიანდეს აშენება და კარგს ალაგას აშენდეს, ვინემ ჩქარა ააშენონ და ცუდ ალაგას.

\* \* \*  
 ტელეგრამამ გვაცნობა, რომ ბათომის ოლქი მოუცილებიათ ქუთაისის გუბერნიისათვის და ცალკე გუბერნიათ გადაუქცევიათ. ამ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა ექნება იმერეთისათვის. აქამდის ქობულეთ-აქარა ადმინისტრაციულათ ქუთაისთან იყო შეკავშირებული. გუბერნიის უმაღლესი დაწესებულებები აქ იყო და გუბერნიის ყველა კუთხეც აქეთ მოილტვოდა. ამით ეს შორეული მეზობლები ხშირათ ერთმანეთს ხვდებოდნენ და ეცნობოდნენ. ამიტომ, როგორც ქუთაისისათვის, ისე საზოგადო ურთიერთობისათვის, ბათომის ოლქის ოლქათ დარჩენა სასარგებლო იყო, მაგრამ მეორე მხრით, ბათომი სწრაფათ იზრდება, თითქმის მთელი იმერეთის მუშა-ხალხი იქით მიისწრაფის ლუკმა-პურის საშოვნელათ, ზოგი ბათომში რჩება და ზოგიც ბათომით ზღვის პირებისაკენ გადის. იმ ბუნებრივმა მოვლენამ ბათომი დაახლოვა იმერეთთან და თვით ქალაქიც გააქართველა. აქ დააარსეს საშუალო სასწავლებლებიც და შორს არ იქნება ის დრო, როცა ბათომს თავისი საკუთარი ნასწავლი ხალხი ეყოლება. რასაკვირველია, ბათომის ასეთ ზრდას მისი ადმინისტრაციული გაზრდაც უნდა მოჰყოლოდა და აიკიდევაც გამოცხადდა ეს. მხოლოდ არ ვიცით, რომელი მაზრები მიეწერება ამ ახალ გუბერნიას. უეჭველია, ქუთაისის გუბერნიას ჩამოჰკრიან რამოდენიმე კუთხეს და ბათომის გუბერნიას მიაწერენ. ეს პირველათ უჩვეველთ ძლიერ და აღონებს...

\* \* \*  
 შავი-ქვის მრეწველთა საბჭო, როგორც ისმის, შესდგომია ქიათურაში სახალხო კითხვების გამართვას. ეს ერთობ არც ასე ადვილი საქმეა. პირველ ყოვლისა ქიათურაში ძნელი იქნება ლექტორების შოვნა. ხშირათ ქალაქებშიაც უჭირთ ასეთი პირების გამოჩახვა, თვარა სოფლათ ხომ მით უმეტეს. ამისათვის, საჭირო იქნება თვით ქუთაისში შედგეს ისეთი ჯგუფი, რომლის წევრი რიგ-რიგობით ივლიან ქიათურაში და სახალხო კითხვებს გამართავენ. ასეთი პირები ქუთაისში უეჭველია მოიპოვებიან და მხურვალე მონაწილეობასაც მიიღებენ. რასაკვირველია, ამ ჯგუფის მოვალეობა მარტო ლექტორების გზავნა არ იქნება, არამედ მანვე უნდა შეიმუშავოს კითხვების გეგმა, გამოჩახოს წიგნაკები, შეადგინოს რეფერატები—ერთი სიტყვით, კითხვების შინაარსზე იზრუნოს, ხოლო ნება-რთვის ადება და ხარჯების გაწევა საბჭოს საქმე იქნება. ამ ნაირათ, ეს საგანი დიდ შრომას და ენერჯიას მოითხოვს და მისი მარტო საბჭოსთვის თავზე მოხვევა—შეუძლებელია. იმედია, ქუთაისის ახალგაზრდობა ამ საქმესაც მიაპყრობს ყურადღებას და საბჭოს დაეხმარება. შეიძლება ქიათურის მაგალითმა ქუთაისზედაც იმოქმედოს და აქაც სახალხო კითხვები გაიმართოს.

სხვა-და-სხვა ამბები.

კვირას, 4 ამ თვეს ქართულ თეატრში კ. მესხის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქმნა „მადამ-სანჟენი“. არც ერთი არტისტი არ იყო თავის ალაგას, გარდა ქალ. ეფემია მესხისა სანჟენის როლში და ბ. კ. მესხის—ნაპოლეონისაში. ამ ორმა მართლაც რომ დიდათ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება თავისი გონიერი და საუცხოვო თამაშით. მობენეფისე საჩუქრით და ხშირი ვაშათი დააჯილდოვეს. საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

— ხუთშაბათს, 8 ამ თვეს. ვლ. მესხიშვილის საბენეფისოთ დადგეს „ორი გმირი“, დრამა ვ. გუნიასი. უნდა გითხრათ, რომ ეს წარმოდგენა-კი არა—ერთი დიდი დაუსრულებელი ოვაცია იყო მესხიშვილისა. თეატრში, ორკესტრში და თვით სცენაზეც (ორი ლოჟა გააკეთეს) ხალხი არ ეტეოდა. ჩვენ ჯერ არ გვინახავს ჩვენს თეატრში მაყურებელთა ასეთი საერთო აღფრთოვანება. მესხიშვილს ასე გასინჯეთ მისალოცი დებეშებიც-კი მოუვიდა შორეული ქვეყნებიდან. თვით წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. ვ. გუნიას აქა-იქ შეუკეთებია თავისი პიესა და უფრო ბუნებრივი მსვლელობა მიუცია. ხალხს მოეწონა პიესა და ავტორსაც არა ერთხელ გამოუძახეს. საზოგადოთ-კი ხუთშაბათის წარმოდგენას დღესასწაულის ფერი ჰქონდა და, ჩვენ გვგონია, ბ. მესხიშვილს არასოდეს არ დაავიწყდება მისი თფილისელთა ასეთი დახვედრა.

ექვს თებერვალს აკურთხეს არტისტიულ საზოგადოების ახალი შენობა.

— სამს თებერვალს შესდგა კრება ნაფიც ვეჭილებისა და მათ თანაშემწეებისა. კრების საგანი იყო ღარიბთათვის უფასოთ რჩევის მიცემისა და საქმის წარმოების მოწყობა. დაწვრილებით საქმის გამორკვევა ამ საგნის შესახებ მიენდო ერთს წევრს.



კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ, გარდაწყვეტილ იქმნა: იაკობ გოგებაშვილისაგან შედგენილი წიგნები—1) „Русское слово, или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ“, часть I, подготовительныя ступени, изданіе 7, дополненное და 2) იგივე წიგნი, ნაწილი II, Книга для учения, изданіе 6-е მოწონებულ იქმნენ, როგორც წინანდელი გამოცემანი ამ წიგნებისა ქართულ პირველ დაწყებით სასწავლებლებში („одобрить, подобно прежнимъ изданіямъ этихъ книгъ, въ качествѣ руководства для грузинскихъ начальныхъ школъ“).

უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, კავკასიის ზოგიერთ ქალაქებში შედგება განსაკუთრებული კომიტეტები, რომელთაც უნდა შემწეობა აღმოუჩინონ მცხოვრებთ თფილისში განზრახულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებათ. ამ კომიტეტებმა უნდა აუხსნან მცხოვრებთ გამოფენის დებულება და წესები და დახმარება აღმოუჩინონ მათ ექსპონატების გამოგზავნაში.

სახალხო თეატრის ამშენებელ კომიტეტს დაუდგენია შეუდგეს სახალხო სახლის აშენებას ვერის ხიდან, როდესაც შემოწირული ფული 20,000 მანეთამდის ავა (ეხლა კომიტეტს მხოლოდ 13,000-მდე მან. აქვს). კომიტეტს დაუდგენია აგრეთვე თფილისის ქალაქის თვითმმართველობას კიდევ სთხოვოს 700 ოთხ-კუთხი საყენი მიწა პარკის გასაშენებლათ.

ადგილობრივ გაზეთებს სწერენ ქუთაისიდან, რომ მარგანეცის მუშათა დაზღვევის საქმის ყოველივე ფორმალური მხარე უკვე სისრულეშია მოყვანილი, ასე, რომ ამ მოკლე ხანში კიდევ მოხდება მუშების კოლექტიური დაზღვევა სიკვდილისა და სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევათაგანაო.

ადგილობრივ გაზეთებს პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია ბათომის ოლქი ცალკე გუბერნიათ იქმნეს გადაკეთებული.

სახელმწიფო, საადგილ-მამულო და საიჯარო გარდასახადი თფილისის მაზრაში, რომლის მცხოვრებთა რიცხვი ასი ათასზე ცოტა მეტია, უდრის 103,000 მან.

წარსული წლიდან კავკასიაში შემოღებულ იქმნა ორ პროცენტისანი სამრეწველო გარდასახადი. გასული წლის პირველ ნახევარში ამ გარდასახადიდან შემოსულა: თფილისის გუბერნიაში—16,708 მ., ბაქოს გუბერნიაში—8,014 მ. 85 კ., ერევნისაში—5,690 მ. 70 კ., ქუთაისისაში—4,167 მ. 75 კ., განჯისაში—990 მ. 90 კ., ყარსისაში—5,760 მ. 65 კ., დაღესტნისაში—3,461 მ. 60 კ. და ზაქათალისაში—184 მ. 60 კ. სულ—44,979 მან. 50 კ., ეს ფული-კი არ დაფარავს მარტო ტფილისის გუბერნიაში მოხდენილ ხარჯის ნახევარს.

გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „1893 წ. საქალაქო დებულებათა 44 მუხლში შეტანილია ცვლილება: არა-ქრისტიან ხმოსანთა

რიცხვი ქალაქის საბჭოში შეიძლება შეადგენდეს მესუთედს, კავკასიის ქალაქებში-კი—ნახევარს ხმოსანთა საზოგადო რიცხვისას. ცვლილება ადგილობრივ პირობათა მიხედვით შეიძლება მოხდეს შინაგან საქმეთა მინისტრის ნება-დართვით“.

დამტკიცებულ იქმნა ბაქოს კომერციულ სასწავლებლის წესდება და სოჩის საპოლიციო კომანდის შტატი.

კვირას, 4 თებერვალს, მოხდა დურღალთა ამხანაგობის „შრომის“ უკანასკნელი კრება. ამ კრებაზე, როგორც იყო, დასრულდა ატეხილი დავა და გადაწყდა ხმა მიეცეს ყველა წევრთ. შემდეგ ამოირჩიეს გამგეობა სამი პირისაგან: თავმჯდომარეთ გ. ქურდიანი, წევრებათ გიგაური და ბერძნიშვილი, მათ კანდიდატებათ მინდიაშვილა და მიკირტუმოვი; სარევიზიო კომისიის წევრებათ ლ. ფურცელაძე, ს. ტარუაშვილი და ციბაძე; დამფასებლათ ჩორდრიშვილი, ჯანაშვილი და გლურჯიძე. აგრეთვე დაადგინეს, გასული წლის მოგება გადაიდგას სათადარიგო თანხათ და ძველ გამგეობას მადლობა გამოეცხადოს უსასყიდლოთ შრომისათვის.

კ მ რ ი ს კ მ ნ დ ე ნ ს ი ი მ ი ი.

**სოფ. ხულა** (ზედა აჭარა). წელს აქ ძლიერ ცუდი ზამთარი არის, რამაც აქაურები დიდ გასაჭირში ჩააგდო. აქაურების უმთავრესი ცხოვრების სახსარი არის შინაური პირუტყვების მოშენება, რაც აქ სავსათ გავრცელებულია, მაგრამ გასულ წელს აქ თივის ცუდი მოსავალი იყო, რამაც გამოიწვია საკვებადის სიძვირე და დღესაც ბევრს სრულებით არ მოეპოვება თივა, თუმცა ზამთარი ჯერ ნახევარი გაუფლელი არის. გზაც არ არის, რომ საქონელი გარეკან სდამე და გაწვიდონ.

13 იანვარს ს. მაწვავლათის მცხოვრებლები ექვსი კაცი წასულან სანადიროთ. თოვლის ზვავს ხუთი დაურჩნია; ხოლო ერთი გადარჩენილა და მან ეს ამბავი დაღუპულის მშობლებს შეატყობინა. დასრჩნვალთა გვაშები ჯერ ვერ იზრდეს, თუმცა ბევრი მუშა მიმდგარი თოვლის გასწმენდად. 15 იანვარს კიდევ ერთი ახალგაზდა მალა დასრნო ზვავმა სახელმწიფო გზასზე ს. ზემკეთში.

1896 წლ. ხულაში გვაქვს ორ-კლასისანი სამინისტრო სკოლა. წლიურათ ხაზინა ამ სკოლის შესახაზავთ ხარჯავს 1300 მ. მოწაფეების რიცხვი არ აღემატება 15—20 და არც ესენი დადიანთაგან დროს. ადგილობრივი ზოლიცაა რომ მოისურვებდეს, აქ შეიძლება ასზე მეტი შეკირდის შეკრება. მასწავლებელი ხშირათ უხსნის ხაღხს სწავლის საჭირებას, მაგრამ ისინი უფროს არ უგდებენ. ნეტავ როდის გაიგებენ აჭარლები, რომ სწავლა მათთვისაც საჭიროა!

გასულ წელს „უჩასტკის“ უფროსმა ბ. რიხტერმა შუამდგომლობა ადოდა მთავრობის წინაშე, რომ აქ იქნეს დაარსებული მართლ-მადიდებლის ეკლესია. ქრისტიანების რიცხვი აქ 150 სულამდის იქნება.

დ. რ—ლი.

**ს. ბერშუეთი** (გორის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს 18 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთის მხრით სმაზრე ქალაქიდან;



გაშენებულია ფერდობ ადგილზედ ტუის მსხლობლათ და ჭყერი აქ სურსხვობა; სხნავსათესი და სურსხე მამული სავმარისად არის. მიუხედავთ ამის, ხალხი ქონებრივთ დაქვეითებულია და უმრავლესობა (სულ 140 კამლია) დღიურათ გამოდის; მიზეზი ამის ის არის, რომ მამული საბატონათ და, მამასდაძე, თავის თავსაც უნდა გაუძღვეს ხალხი და ბატონსაც. სწავლა-განათლებლის სურვილი აქ ნაკლები არის. „ბა“ და „ბუა“ რომ ვასწავლათ შეილება, გუთანზე ვიდა ვატაროთ, ამბობენ აქ. აქაურ ზირველ-დაწვებით სკოლაში 24 მოსწავლეა. რცა აქ ამ სამი წლის წინათ გაინსხა სსწავლეებელი, ხალხმა სავმართ მიიყვანა ბავშვები სსწავლეებლად, მაგრამ ორი წლის შემდეგ დაინახეს (ამ სკოლაში ორი წლის განმავლობაში ამთავრებენ მოსწავლეები ზრგობას), რომ შეგირდები „ნსწავლ კატებლ“ ვერ გადაიქცენ (როგორც იმთა ჭურდათ) და ესლა და ესლა დაიწიეს სწავლის საქმეში. ან-კი რა სარგებლობა მოაქვს ასეთს სსწავლეებელს? ორ წელიწადში ისწავლიან ბავშვები ქართულ-რუსულ წერა-კითხვას და შემდეგ გამოვლენ სკოლიდან; ზატონებს თავი არა აქვსთ, რომ სხვა სსწავლეებელში მიხარონ და რაც უსწავლათ, იმასაც ან დაივიწყებენ, ან არა და „უსწავლელი ნსწავლები“ ბორტონსაქენ მიჭმართავენ თავიანთ ჯდაინსს.

ბერშუელი.

### წერილი გურიიდან.

ს. ხიდისთავი.

(1899—1901 წლამდე).

როგორც საზოგადოთ გურიაში, ხიდისთაველებმაც 1900 წ. დასრულს კვიზა, დასხლეს თოფები და წვევა-კრულვით გადადუნეს, რომ მეორედ აღარ დაბრუნებულყოფ. ბუგრა-კი გუნდრუკის კმევით და სიმღერით გააცილა, რადგან მათთვის 1900 წ. სხვა წლებთან შედარებით დიდათ სარგებლანი გამოდგა. საზოგადოთ 1900 წ. ხიდისთაველებმა დიდი ნაბიჯი გადასდგა... მაგრამ საით? ამ საკითხის გადასწვევლად საჭიროა მივიანრო-მივიანროთ ხიდისთავის და მის გარშემო სოფლების უველა კუნტულები, განვიხილოთ მათი ერთი წლის ახგარიში. ავილოთ დაბა ხიდისთავი. აქ სრულებით ვერაფერ ცვლილებას ვერ ხედავს ადამიანი. ხედავთ ისეც იმ დახვებულ უსწორ-მასწორ ჩამწვრივებულ დუქნებს, დუქნების წინ სკამებზედ წამოკუხებულ „ჩარხუკებს“ ხან დადგრემილებს, რომ ვერავინ ჩივდეს ხელში გასაფლეფათ, და ხან მომღიმარეთ, რომ იმ დღეს „პეტრის“ ორ კაბეიკიანი დამზადი ტარანა ორ შაურად მიჭვიდეს. ხედავთ იმ „ბესო-არტემ-თემურას“ თავიანთ ფაღბი „უხთარ-სასწორით“ და მოკლე ალაბით, სხე გაბრწეინვებულებს, რომ ისინი ამ წელში ძლიერ განვითარდენ უფლებთ-გლეჯაში, ძალაზედ გაბეგენს თავიანთი უძირო ჯიბეები უხთარ-ალაბს კარდა სხვა უფრო დიდი სარგებლანი საქმე მოიგონეს. ოხრის ფასად ჩაიკდეს ხელში რამდენიმე ათასი ფუთი აბრეშუმი და მათ თავიანთი ჯიბეები გაიტუნეს. ეს სამი ჩარხი თითქმის გაბატონდა დ. ხიდისთავში და ღამის არის თავიანთი მოძმე ჩარხუკები ჩაჭულაზონ თავიანთი დუქნუკობიანთ. დუქნების ბოლოზედ წამომჯდარა ჩენი „ილოც“ და ღესავს და ღესავს წამლებს. ქინაქინის მაგიერ ზოგს „მიშიაკს“ უღესავს და ზოგს კოდევ „სტრინისას“ და რომელიც „ბესო-არტემის“ კლანტუბიდან ცრცხლად გამოდის, „ილოც“ შეუწუხებლივ ჭკზავნის და ჭკზავნის სიიქიონს. ჩამოუდებთ თუ არა ფეხი სსწავლ სოფელს ხიდისთავის დუქნებში, ჯერ „არტემის“ ჯიბეში უნდა გაძვრეს, მერე „ბესოს“ და „თემურასის“ და თუ აქ გადაჩნა, ქედ მოშულებილი გარბის შინისკენ: იქნება გაფასწროფო.

აი, მიაღწია კიდევ დუქნების ბოლოს და თქირბის მეშველა გადავჩიო, მაგრამ აქ-კი მედგრათ ხედავა ჩენი „ილოც“, აძვრენს ვიწრო შუშაში, ზედ ერთ კოფს „მიშიაკს“ ან „ილოც“ მიაყოლებინებს სადღეგრძელოდ ან უფრო სადღეგრძელოდ და თუ-კი ცოტადენი ტუავი შეჩნა, აქ აშშობს. ისეთი ბედნიერებიც არიან, რომ ამ უკანასკნელ ტანჯვასაც გადაჩიობან ხოლმე, მაგრამ უმრავლესობა კი... ძხვლად იტანს. ერთმა გადაჩიილთავანმა თურმე სხივარც-კი გაუბედა „ილოც“, მაგრამ რას უხმად?...

ხიდისთავს სამკითხველოცა აქვს. ამიტომ საჭიროა ორიოდე სიტუვა ამის შესახებაც ვსთქვათ. ჩვენ საჭიროდ ვსცნობთ, ოდესმე ვგრცლად გავაცნოთ მკითხველებს ამ „სარაკო“ სამკითხველოს ბიოგრაფია თვით დაარსებიდან დაწვებული ამ დრომდე. ესლა მოკლედ შევებებით ერთი წლის მოქმედებას. 1899 წელს ზაფხულში ეს „უმატონო“ სამკითხველო ჩაბარეს ერთ „უხ-წოსანს“. მას თავის დღეში მოცინარს ვერ დაინახვდით, სულ თავ-ღირი ჩამოსტიროდა და კარები გამოკეტული იყო. შეხვდუბოდა ისეთი ბედნიერი დღეც, რომ შექვეითებული გამგე მოისურვედა სამკითხველოს გაღებას. ამ დროს რომ შეგებნათ შიგ, ვაცდებოდათ. რა ჯურის ცნოველი გინდათ, რომ იქ არ მოეყარა თავი. ლეკურას-ხანჯლოსანი თავიანთ მწვევარ-მეძებრებით, გეგნებოდათ სამწვევროთ შეუყრიათ თავიო. სიმღერას და სიცილ-ხარხარს საზღვარი არა ჭქონდა. უმეტეს დროს სამკითხველო ამ გმირთ-გმირთ სთამამოდ და სსამიღეროდ იყო დია. ყურნალ-გაზეთები არ მოსდიოდა და მკითხველებიც სრულებით შემოეთხატა. არ გასულა დიდი ხანი, მოკვებდა ღმერთმა, და ბ-ნი გამგე თავისით გამოვიდა „ასტაკაში“. ხიდისთაველები დაოცდურდა, აქეთ ეცენ, იქით ეცენ, კრება კრებაზედ იმართებოდა გამგის ამოსარჩევით და ბოლოს, როგორც იქნა, ამოიჩიეს არა ხაკლები ზირველისა, მაგრამ ორი დღის უკან უცბად დაინიშნა არა ჩვეულებრივი კრება და ჩენი ახლად არჩეული გამგე ხელად „გამაზანხურეს“. ესლა ამ „სამამკვავარს“ „ორი დღის გამგეს“ ეძახიან ხიდისთავში მეტ სახელად. ამ დღეს უკვე უკანასკნელთ აიჩიეს გამგე და არც მოტეუდენ არჩევანში. ამ გამგის დროს სამკითხველო წინ წავიდა, თავის დროზე მუდამ დია იყო, მოსდიოდა საუკეთესო ყურნალ გაზეთები; როგორც, მაგ., „Сѣв. Кур.“, „Жизнь“, „Миръ Божій“, „Науч. Обзор“. და უველა ქართული ზერიოდული გამოცემები. ესლა ამ გამგესაც დაუნებობა თავი და მის მაგიერ აურჩევით „დოხტური ანტონა“. „ანტონაში“ მით დაიწყო მოქმედება, რომ სამკითხველოს სახლი გაუიდანია და წიგნები დუქანში გადაუტანია. ჩენის აზრით, სამკითხველოს ის დღე დაადგება ესლა, რაც 1894 წ. დაარსების დროს. ამ დროს სამკითხველოს საკუთარი სახლი არ ჭქონდა და დროებით მათავსეს დუქანში. საუბედუროთ, ამ წელს დიდი ზამთარი დადგა. მოვიდა დიდი თოვლი და დუქანი ზედ თავზედ გადაამტვრია სამკითხველოს.

სამკითხველოს გვერდით ხიდისთაველების ნსწავლ-ნადაგი სმრველო სკოლაა წამოჭიმული. ეს სკოლა დაარსდა 1885 თუ 1887 წელში. ამ დროდენ დაწვებული დღემდე ამ სკოლას ვინ იცის რამდენი მოსწავლეებელი გამოუცვლია. ერთი დრო იყო, როდესაც აქ მოსწავლეებლად იყვნენ და-მანნი, მდ სერგი კალანდაძე და ნეტარ ხსენებული ან. რამიშვილისა, ს. კალანდაძის და. ეს დრო მართლაც რომ საუფთოერი იყო. ისე თავ-გამოდებით, ისე ერთგულად სწევდნენ უდელს ეს ორნი, რომ მაშინდელი გამოსუდნი მოწაფენი უველანი კარგს გზაზედ არიან დამდგარნი და სიამოვნებით იგონებენ იმ დროს. გასულ წლის ენკების-თვიდან ეს სკოლა გადააკეთეს საქლებო სკოლად. დას, რომ



საქმურია ხადისთაველებისთვის ასეთი საქმე, რადგანც სს-  
ქალები სკოლა მათთვის სულზე მისწრებას, მაგრამ ვეკვობთ,  
რომ მსწავლეები დიდხანს შეიძინონ. ესაა მოუწვევით მს-  
წავლებლად ახალ-გაზდა ქალი, რომელიც ერთგულათ მოეკიდა  
საქმეს, მაგრამ, საუბედროთ, დიდი ხანი არ არის, რაც მო-  
ვიდა და ესევე გასაქტევათ არის.

(დასასრული იქნება)

ჩვენი შინაური საქმეები  
ამ თო წელიწადში.

დედათა სკოლის დაარსების განზრახვა.—სამკითხველო-  
ები.—სახალხო შაურისანი წიგნაკების გამოცემა.—სხვა-  
და-სხვა ფონდები.—საკვირაო სკოლები.—სახალხო თე-  
ატრი.

(შემდეგი. იხ. № 5).

ჭერ ამ თი წლის წინათაც ზოგიერთნი ცდილობდნენ წიგ-  
ნების გავრცელებას, უნდოდნენ კიდევ სამკითხველოების დაარ-  
სებას, მაგრამ ისე ღარიბნი ვიყავით ქართული წიგნებით და ყურ-  
ხალ-გაზრდებით, რომ ვერა ბედავდნენ ჩვენები ხელის განძრევას,  
თუმცა ჩვენს მეზობლებს, სომხებს, კიდევ ჰქონდათ იმდენი  
წიგნები, რომ თამამთ გახსნეს სამკითხველოები. ერთმა მათ-  
განმა, სახელდობრ სოფიო არღუთაშვილისამ, კიდევ ითხოვა  
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“ ქართული  
წიგნები, რადგან მათ სამკითხველოში მოთხოვნილებია იყო ქარ-  
თული წიგნებისა. „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამკვობამ  
დიდი სიამოვნებით მისცა წიგნები, მაგრამ ერთ-ორ წელიწადს  
შემდეგ სამკითხველო სხვის ხელში გადავიდა და ეს წიგნები  
უკანვე დაუბრუნეს—ადარ არის საჭირო. ჩვენები-ვი წამდგურუმ  
გადთვლიდნენ ქართულ წიგნებს და უნეტეშოთ გაიძახოდნენ:  
500—600 წიგნით რა სამკითხველო გაიხსნება.

ამ დროს მოუხშირეს წიგნების გამოცემა თფილისშიაც და  
ქუთაისშიაც; კერძო ზირებამც, წერა-კითხვის საზოგადოებამც,  
გამომცემელ ამხანაგებამც და აი ამ დროს, 1892 წ., ჩვენმა  
ქალებმა გაბედეს და წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებითა  
და სახელით გახსნეს თფილისში ჯერ ერთი სამკითხველო და  
მერე მერეც; ამ სამკითხველოებს მიჰქვია სხვა სამკითხველოე-  
ბიც. ჩვენს ზატარა ქალებში, დაბეში და სოფლებშიაც-ვი გა-  
ხსნეს აუარება სამკითხველოები. კარგი იქნებოდა, რომ მოგვე-  
უვანა სტატისტიკური ცნობები, მაგრამ როგორც ადვილათ ხსნი-  
დენ ამ სამკითხველოებს. ისეც ადვილათ ჰქეტივდენ. ხშირათ  
მოხდებოდა ისიც, რომ რომელსმე დაბაში ან სოფელში თავად-  
ახანურება გახსნიდა სამკითხველოს, ე. ი. იშვიადაც თათხს,  
სამკითხველოს სახელდობთ გამოიტანდა მუქათათ წიგნებს და  
ყურხალ-გაზრდებს და სარგებლობდა მხოლოდ თფითონ და თა-  
ვისიანები. მაგრამ ამისთანა ამბავი იშვიათი იყო. უფრო ამ სა-  
მკითხველოებს მიჰქონდა და ახლაც მიჰქვს სარგებლობა იბითი,  
რომ ახვევს ხადხს კითხვას და უადვილებს წიგნების შოვნას. ამ  
მხრივ მეტადრე გურამ იჩინა თავი, უგულაზე მეტი სამკითხვე-  
ლოები ამ კუთხეში არის. მართლაც, ეს სამკითხველოები ტვირ-  
თათ დაწვა ჩვენს უმისრთაც დარბო ყურხალ-გაზრდობას, მაგ-  
რამ სანუგეშო ის არის, რომ ერთობ სწრაფათ გავრცელდა ჩვენ-  
ში კითხვის სურვილი და, რომ უფრო სარგებლობა მოიტანოს  
ამ სამკითხველოებმა, საჭიროა უგულას ჰქვავდეს თითო სულის  
ჩამდგემელი მანც. ხოლო საქმე ის ვი არ არის, რომ თათხი  
მართლაც წიგნებით—უნდა წიგნების მიწოდებულმა უხელმძღვა-  
ნელად კიდევ მკითხველს. თორემ ახლაც გვემის, მეტადრე

თფილისის იათ-ფასიან სამკითხველოებზე, რომ მკითხველო სად-  
ხი ადარ დაიარება, რადგან წიგნები სულ გადიკითხესო. მერე  
ახალი თათხა ადარა გვევს? რუსული წიგნებიც მიწოდეს, მაგ-  
რამ დღითი დღე მკითხველთა რიცხვი მცირდება. ვაი თუ ჩვენ-  
მა უდარდებლობამ და ზარმაცობამ უკან დასვევინოს ამ საქმესაც!  
სწორეთ ამის შიშით, გაიხსნა თუ არა სამკითხველოები,  
ქალების ზატარა წრემ დაარსა შაურისანი წიგნაკების გამომცემელი  
საზოგადოება. მკითხველს-ვი არ ვეკონო ქალების მოტრფილვე,  
რომ უგულა ჩემს მატარებში მოეყანილ საქმეებს ისინი იწვე-  
ბენ; ჩვენ, ვაცეს, მაკისთანა წვრილმან საქმეებისთვის არა  
გვეცდიან, რჯახნი გვაქვს შესანახი. სხანამ გამოირკვეოდა,  
რა გვარი წიგნი უნდა მივსწოდოთ ხადხს, სხანამ მხო-  
ლოდ ლანარაკი, სჯა-ბასი იყო საჭირო, უგულა ატატებით  
იღებდა მონაწილეობას, აზირებდა გულ-მხურვალეთ მიჰკიდებოდა  
საქმეს და არ ეტეობოდა, რომ მომუშავეთა გუნდი მცირეა.  
ერთმა შორით მყოფრებულმა კიდევ მისცა წინადადება: ქალების  
კლუბი გახსენითო, ახლა კვირასში ერთხელ ლანარაკობთ და,  
კლუბი რომ იქნება, უგულ დღე ილანარაკობთ. ბოლოს გამოი-  
რევა, რადგან წიგნაკების საჭირო ხადხისათვის. დადგა დრო  
მუშაობის; წიგნაკების ამოჩვენას, გადათარგმნას, გადაკეთებას  
უნდოდა ცოდნა ენისა, გულ-დასმით შრომა, საქმის სიყვარული  
და აი მამინ ვაქარა მუშაობის ხადხისი, განუღდა ცეცხლი. იქნება  
ერი-სამი ზირი ებრძოდა კიდევ ამ გულ-კრილობას, რადგან  
მასწრეს შვიდი თუ რვა ცალი შაურისანი წიგნაკის გამოცემა.  
ამით გათავდა საქმე (ორ წელიწადზე მეტია არც ერთი წიგნაკი  
არ გამოეცია ამ წრეს). რა იყო ამის მიზეზი? ალბათ ერთმან-  
ერთის გაუტანლობა, ზირადობა; მობეზრდათ სხადხე წიგნაკე-  
ბის გამოცემა, ახლა სხვა ახალი საქმე უნდა გამოეკინებათ. უგულ  
ლა გაიძახოდა, თუ ჩემი არ ვაყა, თუნდ ქვა ქვაზედც სუ  
იქნებოდა. თითო წიგნაკი იბეჭდებოდა 2400 კგემეზიარი და  
თხ-ქვეს თვეზე ადარც-ვი იყო ხოლმე; ახლა თითო წიგნაკს  
რამდენი კაცი წაიკითხავდა?

და ამისთანა სიმშატორი საქმე ახლა ზედმრათ გადაქტა.  
მათუსალა.

პატარა წერილი.

მოიერ გაუბრაზებია სახალხო თეატრის „ერთი მუშაკ-  
თავანი“ ჩვენს შენიშვნას, რომელიც წარსული ნომრის  
„შინაურ მიმოხილვაში“ გვეკონდა დაბეჭდილი. მისი სი-  
ბრაზე აღელოვებულ ზღვის ტალოებთ გადაქეულა, გაუ-  
რღვევია „ცნობის ფურცლის“ ყველა ლანძღვა-ვინების  
მოსურნეთათვის ღია კარები და გამოაუსროლია ჩვენკენაც  
ჩვეულებრივი შურდული კიცვისა, გომობისა და შემე-  
სრვისა. უძღენის-რა „სახალხო თეატრის ისტორიკოსს“  
ეს „მუშაკთავანი“ თავის ფელეტონს, პირველ სტრიქო-  
ნებიდამვე, იმის მაგიერ, რომ საქმეზე ელაპარაკნა, აუწ-  
ყებს ქვეყანას, რომ „კვალის“ პუბლიცისტებს დაუზებო-  
რებით სიტყვა „ინტელიგენტი“... მოუკრავთ სადღაც  
ყური ან ამოუკითხავთ ბროშიურებიდან ინტელიგენციი-  
სა და ხალხის დამოკიდებულების შესახებ ფრაზები და  
აჩხირებენ მათ ყველგან, მიუხედავათ იმისა, საჭიროა თუ  
არა ამ ფრაზების ხმარება... და სხვა. მერე რისთვის  
დასჭირდა ამ „მუშაკთავანს“ ამდენი ოფლის-ღვრა ზემო-  
ხსენებული სტრიქონების დაწერისათვის? მხოლოდ იმი-  
ტომ, რომ გაელანძღა ჩვენი თავი, თორემ მას თუ ნაწე-  
რის გაგება შეუძლიან, მგონი, ჩვენ „შინაურ მიმოხილვა-  
ში“ სახალხო თეატრის შესახებ არა გვეკონია ლაპარაკი,



არც იმაზე, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ინტელიგენტი“ და ან ინტელიგენციისა და ხალხის ურთიერთ შორის დამოკიდებულება“. ჩვენ ნათლად, გარკვევით (ვისაც ქართული ჩინურათ არ ესმის) ვთქვით ეს, რომ „სახალხო თეატრი პირველათ თვით ხალხმა, ე. ი. ხელოვნებმა დააარსა, ის უდგა სათავეში და სცენაზედაც უმთავრესათ ხელოვნები გამოდიოდნენ“. ვთქვით, რომ შემდეგ ინტელიგენტებმა მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და იმის მაგიერ, რომ ემეცადინათ, რათა ხალხის საქმე თვით ხალხს ეკეთებინა, მათ იგი დააშორეს სახალხო თეატრსო. მერე არღვევს ამ ჩვენს ნათქვამს ბ-ნი მუშაკთაგანი? არა, მას მხოლოდ სდომებია მისი დარღვევა, მაგრამ თვით ფაქტებს მისი კალამი იმგვარათ აუღაპარაკებია, რომ თვისდა უნებურათ ამტკიცებს ჩვენს ნათქვამს. აი მისი სიტყვები: „სახალხო წარმოდგენების მართვა ავტორის ქუჩის სასადილოში დაიწყო ხუთი-ექვსი წლის წინეთ, საქმის ინიციატორები იყვნენ: ოთხი-ხუთი ხელოსანი და რამდენიმე ინტელიგენტი“ (აღბათ ინტელიგენტები ბევრნი იყვნენ, რომ მათი რიცხვი არ მოჰყავს!) მერე მოგვითხრობს-რა ისტორიას, როგორ „ჩაქრა“ საქმე და მერე აღორძინდა ხელ-ახლა, გვაუწყებს, რომ ახლათ აღორძინებულ საქმეში „დიდი ბრძოლა და ვაი-ვაგლახი დასჭირდა ორიოდ ინტელიგენტ ქართველს, რომ ეს საქმე საბოლოოთ არ ჩამქრალიყო“. ამ გვარათ, „მუშაკთაგანის“ სიტყვიდამ ბტკიცდება ჩვენი ნათქვამი, რომ პირველათ სახალხო საქმე თვით ხალხმავე დაიწყო და არა ინტელიგენციამ და რომ შემდეგ საქმეში ინტელიგენტები ჩაერივნენ, ხოლო ხელოვნები-კი დარჩნენ წრეს გარეთ; რამ აიძულათ ხელოვნები ჩამოშორებოდნენ თვისგან დაწყებულ საქმეს, ამაზე არავითარ პასუხს არ გვაძლევს ბ. მუშაკთაგანი. მაგრამ ამ საგანგებო „ისტორიკოსს“ ავიწყდება დასკვნა თავისი წინა სიტყვებისა და ბოლოს თავის თავის წინააღმდეგ ამბობს: არა, ხელოვნები არ დაშორებიან საქმეს და „დღესაც ერთათ (იგულისხმეთ ინტელიგენტებთან) ეწვეიან ამ მძიმე უღელსო“. თავი დავანებოთ ამ მუშაკთაგანის ჰოსა და არას შუა ტრიალს და ვკითხოთ მას, რომელი მუშები არიან, ან იყვენ, ან წელს ან შარშან სახალხო თეატრის სექციის წევრათ ან თეატრის რომელიმე სხვა საქმის გამგეთ? (შველიძე სრულებითაც არა ყოფილა ამორჩეული სექციის წევრად) თუკი ამისი საბუთი ექნებოდა რამ, დარწმუნებულნი ვართ, არ გამოეპარებოდა ფრთხილ ისტორიკოსს და დიდის ამბით მოგვახლიდა პირში: „სიტყუი თქვენ, აი ესა და ეს ხელოვნები არიან სახალხო თეატრის გამგეთა წრეშიო“. მაგრამ იგი ამ ცალიერ სიტყვებს ათავენს მხოლოდ მრავალი წერტილებით, რაც ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ენის წვერის საკენეტ ფაქტს წასწყდომია იგი და დაუდვია „საცო პირისათვის თვისისა“.

თუ ხელოვნები უკვე არიან საქმეში ჩარეულნი და აქტიურ მონაწილეობას იღებენ, მაშ რიდასთვის გვიწვევთ ჩვენ მათთან ერთათ მივიღოთ შრომა და თქვენ, ტვირთ-მძიმეთ და დამაშვრალთ, მოგხსნათ ზურგიდამ ჯვარი წამებისა. გვამტყუნებს-რა ამგვარათ ზემოხსენებულ საგანში „მუშაკთაგანი“, ერთ-ორ კაი-კაი ლანძღვას კიდევ გვითვლის და, ჯერობს-რა გულს, ხელ-მეორეთ გვამტყუნებს ახლა სხვა მხრივ. ჩვენ ვამბობდით, რომ სახალხო თეატრის აუდიტორია ხშირად აქრელებულია მალალი წრის მაყუ-

რებლებითო. თუ რამდენათ ტყუილია, ეს მიგვინდვია თვით თეატრში მოსიარულეთათვის. მაგრამ ვისაც იქ არ შეუხედნია, შეიძლება ექვის თვალით შეხედოს ჩვენს სიტყვებს. ამიტომ კიდევ ამოვწერთ თვით „მუშაკთაგანის“ ფელეტონიდან ორიოდ სიტყვას მისსავე გასამტყუნებლათ: „მორიგი წევრები და მოღვაწენი ამ მხრივ (ე. ი. რომ თეატრში შევიდნენ ისინი, ვისთვისაც იგი დანიშნულია) ხანდისხან კიდევ აქარბებენ...“ რისთვის სჭირდებათ მათ ეს გადაქარბება, თუ თეატრში შედიან მარტო ისინი, ვისთვისაც იგი არსებობს? მაგრამ არა, რაც უნდა გადაქარბონ ხოლმე მათ, მაინც თეატრის აუდიტორია ხშირათ აქრელებულია არა სასურველი ელემენტებით. და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც თვით მოთამაშეებს მისდევნ მათი ნიჭის თაყვანის-მცემლები თავისავე წრიდან და ეს მოთამაშენი ხომ, როგორც მოგვხსენებათ, არა ხელოსანთაგანნი არიან.

რომ ჩვენი ზემოხსენებული ნათქვამი მართალია, რომ იგი ქორი არ არის, როგორც გვწამებს „ერთი მუშაკთაგანი“ თავის ფელეტონში, კიდევ ერთმეტ საბუთს მოგუყვანთ მას ახლო წარსულიდან. აქედან მკითხველი ნათლად დაინახავს, ვსტყუით ჩვენ თუ მართალს ვამბობთ, რომ სახალხო თეატრის საქმიდან განდევნილია ხალხიო. წარსულ კვირას მოხდა კრება სახალხო თეატრის იმ რამდენიმე პირისა, რომელნიც საზოგადო კრებაზე იქმნენ ამორჩეულნი თეატრის საქმის გასაწესრიგებლათ. ამ კრებაზე ზემოხსენებულ პირთ გამგეობის წევრათ ამოირჩიეს 17 კაცი, რომელთა შორის ხელოსანი მხოლოდ ერთი (გოცირიძე) ურევია: მ. ი. დემურია, ს. ციციშვილი, კვალიაშვილი, გოცირიძე, კალაძე, ჯულენი, ჩაჩბაია, ქუჩუკაშვილი, გვარამაძე, რცხილაძე, შველიძე, ქართველიშვილი, ბარათაშვილი, წულუკიძე, ხერხეულიძე, მ. ვ. მაჩაბელი, დედაბრიშვილი. სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქმნენ: უმიკაშვილი, ჟურული, ცაგარელი, ახალშენიშვილი, ავალიშვილი, მგალობლიშვილი, ბარათაშვილი, რცხილაძე, დემურია, დედაბრიშვილი.

ამგვარათ 27 კაცში, რომელთაც უნდა განაგონ სახალხო თეატრის საქმე, ხელოსანი ურევია მხოლოდ ერთი. ამიტომ ამ უკანასკნელთ, ე. ი. ხელოვნებმა, თავის შორის ცალკე კრებაზე ამოირჩიეს 10 კაცი და წარუდგინეს კიდევ ამ დღეებში თეატრის სექციას მოხსენება, რომელშიაც სთხოვენი მიიღონ თეატრის როგორც გამგეობაში, ისე საქმის სხვა განყოფილებებშიაც ის მათგან ამორჩეული ათი კაცი, მისცენ მათ იგივე უფლებები, რაც გამგეობის ინტელიგენტ წევრებსა აქვთ და სხვა. ნუთუ ეს ფაქტი საკმარისი არ არის, რომ თვალეები გაახილონ სხვებმა, მოწინააღმდეგეებმა დააცხრონ თვისი გულის წყრომა და შეურიდენ სიმართლეს? წარსული კვირის კრებამ გამოააშკარავა არა მარტო ის, თუ ვინ ხელმძღვანელობს საქმეს, არამედ ისიც, თუ ვინ რა შეხედულობისა არის ხალხზე. კრებაზე ისევ და ისევ ჩვენი „შინაური მიმოხილვის“ მიზეზით აღიძრა ლაპარაკი. ბევრი საშინელი კითხვა-გმობის შემდეგ (განსაკუთრებით ვილაც გ. რცხილაძე ცხარობდა), რომელიც „კვალის“ აღრესზე გაიგზავნა. სექციის ერთ პატივცემულმა წევრმა მოინდომა იმის დამტკიცება რომ „სახალხო თეატრი“ სრულებითაც სახალხო საქმე არ არის და არც შეეხება მათო. ხოლო მეორე უფრო შორს წავიდა, ის

მთელი თავისი არსებით წარმოადგენდა კითხვითი ნიშანს, როდესაც ერთმა იქ დამსწრემ განაცხადა, რომ „ტყუილად უფროხით ხელონებს და არ ვღებულობთ მათ საქმეში, მათ შორის მოიპოვებინან ისეთი პირნიც, რომელნიც განვითარებთაც და აღამიანობითაც ბევრს უკულო ინტელიგენტს სჯობიან და მას სარგებლობასაც მოუტანსო, ზემოხსენებულმა პირმა სწორედ სასაცილოთ დაიძახა ამ სიტყვებზე: „მაშ ინტელიგენტებიც სწორედ ისენი ყოფილანო!“ აღბათ მის თავში რაღაც მოუხერხებელ ერთი მეორესთან მიუდგომელს რასმე წარმოადგენს „ინტელიგენტი“ და „ხელონანი“. აი ასეთი პირნიაკეთებენ დღეს სახალხო თეატრის საქმეს. აი, თურმე რას ნიშნავს „ინტელიგენტი“ და „ხალხი!“ ვეჭვობ, ესენი ბროშიურების კითხვი-კი არა, როგორც „კვალის პუბლიცისტები“, „ერთი მუშაკთაგანის სიტყვით“, არამედ თვით „ცნობის ფურცლის“ ფურცლებით გაწოტნილან და იქ მოუპოვებიათ ამგვარი შეხედულება ხალხსა და ინტელიგენტსაც.

არა-ისტორიკოსი.

ქუთაისის ოპოზიციის ალიაქოთი.

ქუთაისის ოპოზიციასზე სჯობასმა ამ ბოლო დროს რაღაც პერიოდული ხასიათი მიიღო. გამოუჩნდება რაიმე საქმე ოპოზიციას და ამ საქმესთან ერთათ თვით ოპოზიციასაც მოსდგებიან. აქამდის ოპოზიციას ყოველთვის არა ოპოზიციონისტი ლანძღავდა ხოლმე, ახლა-კი მას მისივე წევრები „აუბუნტდენ“, სხვა-და-სხვა ნაკლულე-ვანებები გამოუჩნდებიან და მათზე მიუთითეს, ძველი იარები გამოამზებურეს და, რაღა თქმა უნდა, რომ მას შმო-რის და სიღამპლის სუნი აღინდა. Унтеръ-офицерская жена сама себя выскла. და მართლაც რომ გასაროზგავი ყოფილა ეს ქუთათური პარტია, თუ-კი მისი წევრები ერთი ალთას მიეწევა, მეორე ბალთას, თუ-კი პარტიულ დისციპლინას არავინ ემორჩილება და სუყველა მარტო თვისი ჭკუით მოქმედობს. ხმები დადიოდა ქუთაისში, რომ ვითომ სუყველა, ვინც-კი კალისტრატეს მუშტუკუნს უჩვენებდა, უთუოთ ოპოზიციონისტთა რაზმში ჩაირიცხებოდა; რომ ვითომ ოპოზიციას, როგორც პარტია, არ არსებობს, არის მხოლოდ შეკრებილება, მე აქ მინდა სიტყვა „გროვას“ ავცდღე, კალისტრატეს მოწინააღმდეგეთა და მეტი არაფერიო. ეს იყო მხოლოდ ხმები, ახლა-კი ამ ხმებს ძალა ეძლევა, მათი წყარო თვით ოპოზიციის წეს რიგი ანუ უწყეს-რიგობა ყოფილა. მართლაც და შეიძლება ქუთაისის ოპოზიციას პარტიის სახელით მოინათლოს, თუ-კი მას არავითარი ორგანიზაცია არა აქვს, თუ-კი ის მოქმედობს მოუშადებლათ, უმიზნოთ, უთავბოლოთ, უდისციპლინოთ? შეიძლება „პარტია“ კი ვუწოდოთ, მაგრამ არ შემოიღია მას ზედ სიტყვა „უვარგისი“ თან არ მივაყოლო.

აქ ცალიერი სიტყვების სხაპა-სხუბი რომ არ დამწამონ, ჩემი აზრის უტყუარ მოწმედ უტყუარსავე ფაქტებს მოვიყვან. 1) როდესაც ქუთაისის ოპოზიციას უკანასკნელ სათავად-აზნაურო ბანკის არჩევნებში კალისტრატესთან საბრძოლველათ ემზადებოდა, მან კერძო ნაწილ-ნაწილ კრებებზე გადასწყვიტა, რომ ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა მიეყვანა; ვინიცობაა, — ამბობდნ

ისინი, — კალისტრატე აირჩიეს თავმჯდომარეთ, ჩვენ განცხადებულა ვიბრძოლოთ და ზედამხედველ კომიტეტის წევრები და სხვა მოსამსახურეები მაინც ჩვენი გაციყვანოთო. ამას ამბობდენ. დადგა უკანასკნელი დღე, დღე სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისა; ოპოზიციას მთელი თავისი რაზმით მოპირდაპირეს შეეჯახა, მაგრამ მან ომის პირველი ბრძოლა წააგო; იგი დამარცხდა: კალისტრატე არჩეულ იქმნა. აქ რა ჰქნეს ოპოზიციონისტებმა, განაგრძეს ბრძოლა, როგორც მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ? მათ დაჰყარეს იარაღი და ბრძოლის ველს გაექცენ. ნუ თუ მარტო კალისტრატე ჰყავდათ ნიშანში ამოღებული?

2) როდესაც ოპოზიციამ ბ. ლოლუას ადგილიდან გადმოგდება მოუნდომა, მან მის მოწინააღმდეგე კანდიდატათ ბ. ქიქოძე აირჩია და მისმა დღეეგატებმა ბ. ქიქოძისაგან თანხმობა მიიღეს. ოპოზიციას ამ არჩევნებშიაც დიდი ფაცა-ფუცი შეექნა. ქუთაის-ბათუმს და ფოთს შუა მატარებელი ისე არ წასულ-წამოსულა, რომ ერთი ოპოზიციონისტი თან არ გაჰყოლიყო: ამომჩრეველები სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქებში იყვენ დაფანტულნი. ბრძოლამ აქაც უმაღლეს წერტილამდის მიიღწია. ბოლოს მაინც ლოლუა „გათეთრდა“. მიზეზი? ოპოზიციონისტებმა „მოსეს უღალატეს“, უღალატეს არა ბ. ქიქოძეს, არამედ თვით პარტიას.

აი ორი ნიმუში ოპოზიციის ტაქტიკისა, ანუ მისი უტაქტიკობისა. მაგრამ აქ ოპოზიციას აცდა პირველ-გვარ შეცდომას: მას ბრძოლის ველი არ დაუგდია; ის უკანასკნელ წუთამდის იბრძოდა. 3) გამგეობის წევრებთან ოპოზიციამ წამოაყენა ორი კანდიდატი: ბბ. ი. ჩიმაკაძე და ა. გაბაშვილი, და ორივე არჩეულ იქმნენ დიდის უმრავლესობით. აღბათ, ამ კანდიდატებში ორივე პარტია შეთანხმდა! ასე თუ ისე, ოპოზიციის კანდიდატები არ გაშავებულან. მერე, როგორები გამოდგენ ეს ორი ოპოზიციონისტი? გაუმარბლეს მათ მოლოდინი ოპოზიციას თუ არა? გამგეობას შეადგენს სამი კაცი (მდივანი ანგარიშში ჩასაგდები არ არის): ორი ოპოზიციის წარმომადგენელი და ერთი თვით ბ. ლოლუა. მაშასადამე, უმრავლესობა ოპოზიციისაა. თურმე, ნუ იტყვი, ოპოზიციას წინდახედული არ ყოფილა, მას აურჩევია ის, ვინც უცბათ ფეხში გამოდებია; აურჩევია არა საქმის მცოდნე კაცები, არამედ ისინი, ვინც ჩიკვაიძე-ლოლუას ორიოდ ძრახს იტყოდა. ი. ჩიმაკაძე არც-კი ყოფილა თურმე ნამდვილი ოპოზიციონისტი, მისი „ოპოზიციონისტობა არც-კი სმენიათ“. ქუთათური ოპოზიციას ემდურის ქუთაისის ქალაქის გამგეობას: „ცნ. ფურც.“ ქუთათური კორესპონდენტიც იმ აზრის არის. ის უსაყვედურებს გამგეობას „ფორმალურათ საქმის გაძლოლას და საქმეების წიგნებში ჩაწერ-გამოწერას“ (იხ. „ცნ. ფ.“ № 1356). მაშასადამე, ოპოზიციას შემცდარა ბბ. ი. ჩიმაკაძის და ა. გაბაშვილის გამგეობის წევრებთან არჩევამი.

4) ქუთაისის საბჭოს შეადგენს 58 წევრი. აქედან ოპოზიციას უმრავლესობა ჰყოლია, 32—33 წევრი (იხ. „ც. ფ.“ № 1356). ხშირათ გვხმენია და ხშირათვე წავგვიკითხავს სხვა-და-სხვა კორესპონდენტებში ქუთაისიდან, რომ ხმონები გულ-ცივათ ეკიდებიან ქალაქის საქმეებს; მათი თავის მოყრა ნამეტანი ძნელიაო. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ კრების ორჯერ შეუდგომლობის გამო გამგეობამ თვით გადასწყვიტა საბჭოს გადასაწყვეტი კით-



ხვა და გუბერნატორს გაუგზავნა დასამტკიცებლათ. მასადაამე; არც საბჭო ვარგებულა და, თუ-კი მის უმრავლესობას ოპოზიციონისტები შეადგენენ, ცხადია, რომ ოპოზიცია შემცდარა ხმონების არჩევამთა; მას კარგი, ბეჯითი, საქმის მოყვარული და საზოგადო ინტერესებით გამსჭვალული წევრები ვერ აურჩევია.

შეიძლება ერთ ან ორ შეცდომას რაიმე მიზეზი უპოვნოთ ოპოზიციას გარეთ, იქნება სხვა რამე უშლიდეს მას ხელს, მაგრამ, როდესაც ოპოზიცია აქაც სცდება, იქაც სცდება, ერთშიაც, მეორეშიაც, მესამეშიაც და ყოველგანაც, ამის მიზეზს გან-გან ნუ დავებებთ, მიზეზი თვით შუაგულ ოპოზიციამაა. იგი, როგორც პარტია, ბანქოსაგან აშენებული სახლივით დანგრევა, როგორც-კი ოდნავ სულს შეუბერავ. ის უფარვისია, შეკეთება ეჭირვება, თუ-კი უშველა მას შეკეთებამ. მოქიდავე რომ ერთხელ დაეცეს, ეს კიდევ არაფერია მინცა და მინც, მეორეთ—სახელი წაუხდება და თუ-კი ის მუდამ მიწაზე კოტრილობს, მაშინ ის მოქიდავეთა რაზმიდან უნდა გამოვიდეს, მეტი საშველი არ აქვს.

ოპოზიცია აგერ ათი წელიწადია ხელებ-დაკაბიწებული ჰქონდა და ის ერთხელაც არ გვინახავს ფეხზე დამდგარი! „კოტრიელა, კოტრიელა!“ სახელი მას დიდი ხანია გაუტყდა და პარტიათა რაზმიდან როდის გამოვა, ამას მოძავალი გვიჩვენებს...

მოსკოვი. Studiosus.

**რუსეთის სხობრება.**

ზაქრების და მრწველობის უმთავრესი მმართველობა ამ მოკლე ხანში ახირბს, სახელმწიფო რჩევაში შეიტანოს ზრექტი სახენსიო კასისა იმ ზირთათვის, რომელნიც მსახურებს საჯარო ფელტის გეგმებზე. ამ კასის ექმნება სიცოცხლის დამხლევი ხსიათი. მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დაწესებულებაში უთუოდ რუსეთის ეკელა ქვეშევრდომმა, რომელიც მსახურობს საკამერციო გეგმებზე.

ამ უამთ დიდი მითქმა-მითქმა გამოწვეული იმის შესახებ, რომ სახელმწიფოთი რუსეთის ნაწარმებს ბაჟის მომატებას უზირბენ. ამერკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მოუმატეს რუსეთის შაქარს ბაჟი, რასედაც რუსეთმაც უზსუს იმით, რომ მოუმატა ბაჟი შეერთებულ შტატების ზოგიერთ საქარულს. ახლა გერმანია ახირბს ბაჟი მოუმატეს რუსეთის საშეურნო ნაწარმებს.

ზეტერბურგის საამქრო ხელახანთა კრებაზე, რომელიც მოხდა 4 იანვარს, გადასწულა შემდეგი: კვირა-უქმე დღეობით შეჭკრებავენ ხელახსნ შეგირდებს, აქ მათ გაუმართვენ კითხვებს ხელახსნობის შესახებ, აგრეთვე ისტორიულის და ხე-ობრივის შინაარსის და სხვა მათთვის საჭირო საგნებს; ეველადაფერი ეს დაბლოდება გამსაზინძლებით. ამ ხელახსნ მოწაფეთა სწავლა-ყოფა-ქცევას დიდს უურადლებას მიაქცევენ და წიგნებშიაც-კი აღნიშნავენ; აგრეთვე კრებამ გადასწვიტა, რომ შეადგინონ თახს, საიდანაც შემდეგ შეიძლებოდაც კარგ მოწაფეთა დაჯილდოებას ფულოთ თუ სხვა ხირად.

ამ რამდენისავე დღის წინათ კუნძულ ბიერკეს მიდამოებში ერთი უბედურება დატრიალებულა. ფინლიანდიის ს. ზარტაალს და ვანსკიულის მცხოვრები მეთეეზები იევენ უიხულზე; უცბო უიხული შემორდევულა და გაქსნებულა ზღვაში, რასაკვირველია, თახვე წაუღია მეთეეზთა კრებული—სამაც კაცამდის. წაღებულ-

თა სძებნულად ვიბორგის საგუბერნიო მმართველობა თხოვლობს გაიგზავნოს უიხულის შვეეთელი გეგმები. ხმა დადის, რომ ასეთი თივე ბედი სწვევით სხვა სოფლის მცხოვრებთაც.

**საზღვარ გარეთ.**

**ბალია.** იტალიის სამინისტროს დღენი დათვლილია. ვასწრახულია ახალი მინისტრების არჩევა. სამინისტროს ასეთი კრიზისი გამოიწვია შემდეგმა კარემებამ. მინისტრ-პრეზიდენტმა სრავამ დაითხოვა გენუის მუშათა ზალატა, რადგან ეს ზალატა გადაიტა რეკლამაციონურ მოქმედების კრად. გენუის მუშებმა მასხვე მუშობა აჭკვეთეს ზრეტესტის გასაცხადებლათ. გაფიცვისგან შეშინებულმა მინისტრ-პრეზიდენტმა გაგზავნა გენუაში დეპუტატი მაცნა—რესპუბლიკელი, გაფიცვის მოსახლბათ. მაცნამ გენუის ზრექტით დაიყოლია დამორჩილებოდა გაფიცულთ. ამავე დროს ერთმა სოციალისტ დეპუტატმა დეპუტით მოხანარაკება დაიწყო მინისტრ-პრეზიდენტთან იმ ზირბების შესახებ, რა ზირბებითაც გაფიცვის დასრულებას შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს შეთანხმდეს შემდეგში: მუშათა ზალატა დაუყოფნებლივ უნდა აღდგენილ იქმნას და „კარლო ფელიჩეს“ თეატრში უნდა გამართოს დიდი კრება მთავრობაზე გამარჯვების სადღესასწაულათ. ამ კრებაზე რესპუბლიკელთა და სოციალისტთა დეპუტატებმა წარმოსთქვეს ამლეუბელი სიტუეები. თვით დეპუტატმა მაცნამაც-კი წარმოსთქვა მწუხარ სიტუეა, რომ მელშიც შესძახა: „ხვენ არა მარტო ვავიმარჯვით, სასახლოთაც ვავიმარჯვით!“ მთავრობის ასეთმა დამარცხებამ გამოიწვია ზოგიერთ დეპუტატთა უკმაყოფილება და ამას მიჭევა სამინისტროს კრიზისიც.

**ისპანია.** ამ სახელმწიფოს მდგომარეობა თანდათან მეტათ საშიში ხდება. არეულობა უფრო ძლიერდება. მრავალ ქალაქებში ჯარები გამოჭეფთ მანიფესტანტების წინააღმდეგ. კიხნში მუშებმა გაფიცვა გამართეს. აღარც ერთი ადგილობრივი გასეთი აღარ გამოდის. მადრიდიდან ლისაბონისაკენ მიმავალ რკინის გზაზე მოსამსახურეთა გაფიცვის გამო მიმცხლას შესწვდა. იმართება მანიფესტაციები გალდასის ზატოვსაცემათ, რომლის დაწერილი დრამაში—„ელექტრა“-ში—დასურათებულია იეზუიტების საზიზდარი ყოფა-ქცევა. კონსერვატორული და კლერიკალური ზრესა მოითხოვს, რომ წარმოდგენებზე მუდამ ესწრებოდეს ჟანდარმები და ზოლიციის აგენტები მანიფესტაციების მოსახლბათ. ზირდანიი მიზეზი ხაღხის ასე იეზუიტების წინააღმდეგ აჯანყების ის კარემება არის, რომ იეზუიტებმა გაბორიფეს ერთი მდიდადი კაცის ქალი, წაიფანეს მონასტრში და ადგენეს მონახანთ იმ მიზნით, რომ მისი საშვეიდრო მონასტრს დაჩხობდა. მადრიდი საშხედრო ფეხზე დაუენებული.

**ფინიციარია.** შვეიცარიაში ერთობ ძალიან გაფრელებულია კოლხეატოული საზოგადოებები. მაგ., მახელის ასეთ საზოგადოებას ეკუთვნის 19,011 წევრი და აქვთ 9 1/2 მილიონი ფრანკი შემოსავალი. და აი, ახლა ამის წინააღმდეგ ამხედრებულან წვრილი ვაჭრები და ამათ დაურასობათ „ანტი-კოლხეატოული საზოგადოება“! ესენი იწვევენ მუშტართ თავის მალახიებში იმ ზირბით, რომ ხაჟიდის 7 ზრეტესტს დივიდენდათ უკანვე აძლევენ შეიძველოთ. ამბობენ, ამას ძლიან გაუჭრია და დასახლისები თურმე „ბუხივით ესევიან ამ ქვეყლამოქმედ“ ვაჭრებს. ვაჭრები უჭეკელა აქაც იგებენ, მაგრამ მათი მთავარი მიზანია: დასცენ „კოლხეატოული საზოგადოება“ და რცა ამას შეასრულებენ, მაშინ ძველებურათ ივაჭრებენ.

**ბელგია.** ამ ახლო ხანში ბრიუსელში დაიწვეს მოქმე-

დებს ახლათ დაარსებული „ინსტიტუტი სოციალფოცისის“.

ინსტიტუტი სრულიად დამოუკიდებელია პარტიებისგან და მთავრობისგან. მისი მიზანია მიუდგომელი კვლევა-ძიება სოციალფოცისის კითხვების. ინსტიტუტის გამგეა ცნობილი სტატისტიკოსი ვაქსეაიკერი, ხოლო დირექტორებია: ვილჰელმ გრეიფი, ვიქტორ დენისი (ორივე ცნობილი სოციალფოცისის და ეკუთვნის სოციალისტთა დასს), კონსტანტინ ისტრაიკოსი მარტო, შრომის ბირჟის წარმომადგენელი ვორდი და მუშათა პარტიის მეთაური ვანდერველი. „ინსტიტუტის“ პრეზიდიუმს ჯერ საიდუმლოთ იხსენებენ, მხოლოდ კასნის დღეს გამჟღავნებენ პრეზიდიუმს.

**ამერიკა.** შეერთებულ შტატების მთავრობამ ბაჟი დააღწია რუსეთის შაქარს იმ პირობის სწინააღმდეგეთ, რომელიც რუსეთში ექვსჯერ გასატან შაქარს. ამან დიდი მითქმა-მითქმა ასტუქს ამერიკის გასუბებში, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამერიკის მთავრობის ასეთი საქმეა ბაჟების რის გამოწვევით. ამის გამო ადგილობრივი მთავრობის გასუბებ განაცხად: ჩვენ ვუფრთხილ რუსეთთან საბაჟო რის, რომელიც სასურველი არ არის ჩვენთვის ევროპის სხვა სახელმწიფოებთან, სადაც გაცილებით უფრო ბევრი ამერიკული ნაწარმები მიდის, ვიდრე რუსეთში. ამერიკის გასუბების მოლოდინი გამართლდა. რუსეთის ფინანსთა მინისტრმა, კარეჟი საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, დააგინა მომეტებული იქმნას ბაჟები შეერთებულ შტატების ნაწარმებზე.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ლამის ბურებმა მართლაც მიახვიონ მიზანს და „ზღვათა მფლობელს“ ამაყ აღბიონს თავიანთი საარაკო სიმამაცით იარაღი დააყრვეინონ. მათ იმდენათ შეავიწროვეს ინგლისელები პარტიზანული ომის შემწეობით, რომ, როგორც ინგლისიდან საფრანგეთის გაზრდებს აუწყებენ, ინგლისის სამინისტროს ამ მოკლე ხანში სერიოზული კრიზისი მოელოს. პირველათ, რა თქმა უნდა, მოელიან ჩემბერლენის დათხოვნას სამინისტროდან, რადგან ეს მინისტრი ყველაზე უფრო პასუხის მგებელია ამ ომის საქმეში. ჩემბერლენს მოლაპარაკება ჰქონია გარკურთან და მორლენისთან და ის აზრი გამოუთქვამს, რომ ომის ასპარეზზე ჯარის გამრავლებასთან ერთათ საჭიროა წინადადება მიეცეს პარლამენტს, ზავი ჩამოაგდოსო. მაგრამ თავი და თავი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისს, ერთი მხრით, ძალაც აღარ შესწევს ჯარების გასამრავლებათ, ხოლო მეორე მხრით-კი შეუძლებელი ხდება ინგლისში ჯინგოისტურ მოძრაობის (ომით გატაცების) აღაგმვა, რომელსაც თვითონ მთავრობა აღვივებდა მთელი ორი წლის განმავლობაში. ასეთია ვაზრების აზრი, მაგრამ თვით მთავრობა-კი, როგორც ისმის, კიდევ ფიქრობს ჯარების გაზრდაზე ტრანსვაალში (30 ათას კაცამდე) და ამასთან განზრახვა აქვს კიტინერის მაგივრათ ლორდი ევლინ ვუდი დანიშნოს მთავარ-სარდლათ. რაც შეეხება თვითონ ომს, ბურები იმავე თავგანწირვით განაგრძობენ ბრძოლას. რამდენსამე აღაგას კიდევ ჰქონდა შეტაკება მტერთან, აქა-იქ კიდევ იძლიენ და უკუიქცენ, მაგრამ ბევრგან არც მტერს დააყარეს ხერი. როგორც უკანასკნელი დეპეშები იუწყებიან, დევეტი გადასულა ორანჯის მდინარეზე და ფილიპსტუნის მახლობლათ დიდი პოზიცია დაუჭერია 1600 კაცით. აქედან ისინი გაუდევნიათ ინგლისელთ და წასულან დეარისაკენ ჩრდილოეთით. წინ ინგლისელთა სამხედრო მატარებელი დახვედრიათ გზის შესაკრავათ, მაგრამ მათ აუფეთქებიათ

ეს მატარებელი და გასდგომიან თავიანთ გზას ინგლისელები უკან დასდევნიან. საზოგადოთ, შესანახების დევეტის სიმარჯვე. ეს საოცარი გენერალი ისეთი სიმარჯვეთ დაძვრება აქეთ-იქით—ხან სად ამოყოფს თავს, და ხან სად—ისე მოულოდნელათ დაესხმის თავს ინგლისელთა ჯარს და ისე შეუმჩნევლათ გაიბრუნს მათ ცხვირ წინ, რომ ინგლისელთათვის იგი რალაც გამოკანად გამხდარა.

**ჩინეთი.** საქმეთა ვითარება ჩინეთში ისევ არეულია და ძნელი მისახვედრია, როდის დალაგდება, თუმცა უკვე არის იმის ნიშნები, რომ საქმეს ახლო მომავალში დასასრული მიეცემა. ჩინეთის მთავრობას უკვე ეტყობა მიდრეკილება სახელმწიფოებთან საბოლოო მორიგებისაკენ. ამ ბოლო დროს ყველაზე უფრო მორიგების საქმეს სახელმწიფოთა საერთო ნოტის ის მუხლი აფერხებდა, რომლის ძალითაც უნდა სიკვდილით დასჯილ იქმნას რამდენიმე დამნაშავე ჩინელი მოხელე (მანდარინი). ჩინეთის იმპერატორი თხოულობდა ზოგიერთი მოხელის განთავისუფლებას ამ სასჯელისაგან, ბოლოს მან წინადადება მისცა სახელმწიფოთა ელჩებს: ნება მიეცით დამნაშავე მოხელეთ თვითონ დაისაჯონ თავი სიკვდილითო, მაგრამ მას ელჩებმა არ დაუკმაყოფილეს არც ერთი წინადადება და ისიც ჯერ-ჯერობით იძულებული შეიქნა გაჩუმებულიყო ამ საგნის შესახებ. ამაზე უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ჩინეთის იმპერატორმა თავისი ბრძანებით საქვეყნოთ აღიარა ჩინეთის სახელმწიფო წყობილების უვარგისობა, რომელსაც მხოლოდ მანდარინები, კონსერვატარობა და უსაფუძვლო ეროვნული სიამაყე ამაგრებსო, და წინადადება მისცა გუბერნატორებს—შეიმუშავეთ ახალი წესები ევროპის სახელმწიფოთა მგზავსიო.

ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს ზოგიერთი სურვილი სახელმწიფოებისა, მაგ. გადასწყვიტა, რომ პრინცი ტუანმა თავი თითონ უნდა მოიკლას, იუსენი-კი უნდა დაისაჯოს თავის მოკვეთით, დანარჩენებსაც, ვინც დამნაშავებათ არის აღიარებული, შესაფერი, თუმცა უფრო ნაკლებად სასტიკი, სასჯელი მიუსაჯეს. ასე გასინჯეთ, ჩინეთის მთავრობამ ცალკე მოხელეებიც-კი დანიშნა თვალ-ყურის სადევნებლათ, რათა ეს სასჯელნი უსათუოთ აღსრულებულ იქმნენ. მაგრამ სახელმწიფოთა ელჩები ამისთანა პასუხით კმაყოფილნი არ არიან და თხოულობენ, რომ ყველა მათი სურვილი ასრულდეს. და მართლაც ლიხუნჩანგი და ცინი ატყობინებენ მათ, რომ თქვენი თხოვნა, დამნაშავე პირთა დასჯის შესახებ, აღსრულებულ იქმნა ჩინეთის მთავრობისაგანო.

## ცოლი და ქმარი

მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.  
(შემდეგი. იხ. № 6).

დამსობაში გავიდა ხანი, თინათინის შეილობილი სამსონა მოწიფული კაცი გახდა. დღეს სამსონა უნდა დანიშნულიყო მახლობელი სოფლის ქალზე და, ის იყო, დედობილი ანუ როგორც სამსონა ეძახდა თინათინს, ნენაი კახმავდა მას სასიძოდ. ცოტა არ იყოს, თინათინ გულ-ნატყენი იყო ამ საქმით, რადგანაც მისი გაზდილის საცოლო ჯერ თინათინს თვლით არ ენახა. საქმე მოხდა ეგრე: ერთ საღამოს მოვიდა ანნას რძალი და გაუშვილა



ქართული  
ენათმეცნიერება

თავის მუღს, ანნას, რომ ზალიკა გადაღმელიძის მშვენიერი ქალიშვილი ჰყავს და სამსონას შვერთოთ ცოლადა. ვახშობისას ეს ამბავი საზოგადო ვახდა, ესე იგი თინათინმა, ესიკამ, სამსონამ და მისმა დამ და ძმამ—ყველამ იცოდა. გადასწყვიტეს, რომ ერთი უფროსთა განი ოჯახიდან წაჰყოლოდა ანნას რძალს გასათხოვარის სანახავად.

— ჩემო რძალო, შენ წაჰყევი—უთხრა თავისებური წრფელის გულით ანნამ თინათინს.

ანნას აზრს დაეთანხმენ ესიკაი და სამსონაი, მაგრამ ანნას რძალმა არჩია, რომ მისი მული, ანნაი, წაჰყოლოდა, თინათინს გულში ეწყინა ეს რჩევა: როგორ ჩემი შვილობილის საცოლო სხვამ უნდა გამოარჩიოს და მე „აბუზად“ ამიგდონო, მაგრამ პირად არ დაიმჩნივა და უთხრა ანნას:

— რაღამც შენს მუღს ასე ურჩევნია, შენ წაჰყევი. თინათინს ეგონა, რომ ანნა უარზე დადგება და წასვლა მინც მე შემხვდებაო, მაგრამ ანნა დიპლომატი არ იყო, ის არ უფიქრნია—თინათინ პირად სხვას ამბობს და გულში სხვა აქვსო.

— კაი, შენ თუ არ გეწყინება, მე წავაყოფი. ჩემი შვილის ბედი მომასრო ღმერთმა, იმის ნახვა რაღა შემეზარება,—თქვა ანნამ.

შეორე დღეს ანნა და მისი რძალი (ძმის ცოლი) წავიდნ ზალიკა გადაღმელიძის ქალიშვილის სანახავად. თინათინ მეტად განაწყენი დარჩა ამის გამო, მაგრამ ეს შემდეგისთვის შეინახა და არას ამბობდა. ანნას მოეწონა გადაღმელიძის ქალი და, ცოტაოდენი მზითვის შესახებ მოციქულობის შემდეგ, ესიკა წაბლაძესა და ზალიკა გადაღმელიძის შორის საქმე გაჩაღდა.

— ჩემო რძალო, პაწაი ააჩქარე ხელი, თვარა გვაგვიანდება,—დაუძახა თინათინს ესიკამ.

— რას ჩივი, ჯერე რა დროისაა! ნიშნობაზე დღიურათ მისვლა ვის გუუგონია!—უბასუხა თინათინმა და განაგრძო სამსონას კაზმვა. უკვე ჩააცო ნაცრისფერი მაუდის შალვარი, იისფერი ატლასის ელედი, მიხაკისფერი მაუდის ჭონია-ჩოხა, რომლებიც საუცხოვოდ მოადგა ტანზე სამსონას. ყველა ესენი თინათინის ხელით შეკერილი იყო და, რასაკვირველია, ისე არ დატოვებდა თინათინ ამ გარემოებას, რომ არ გაეტარებია სიტყვაში—დახეთ, მე ეგეთი ვარ, ჩემი ხელიდან ეგრე კარგად გამოდის ყოლიფერიო. როცა უმთავრესებს მორჩა, თინათინმა წვრილმანებს მიჰყო ხელი—წელის მორთულობა შეარტყა, აქეთ თეთრი ცხვირსახოცი ჩაუდო ჯიბეში, იქით სირმით მოქარგული ქესა ჩამოჰკიდა და სხვა. ამ დროს ისე დაცქრიანებდა თინათინ, თითქო შვიდი-რვა წლის ბავშვიო. ის ხანდახან ხუმრობით მართლაც დაიწეოდა, დადაბლდებოდა და ისე მიირბენდა კუთხეში საჭირო ნივთის მოსატანად. ამ დროს თინათინ იცინოდა, ვითომდა—მართლა კი არ იფიქროთ, ვბავშვობდენ, არა, ვხუმრობო. მაგრამ ამასთან-კი გულში რაღაც სიამოვნებას გრძნობდა, რომ ბავშს დაემზგავსა.

— ბიცოლა, რამდონს გასცემ ქრთამათ, რომ ერთი ახლა ვინმემ ბალანათ გადაგაქციოს?—ეშმაკურად ჰკითხა ლევანტიმ.

— ბალანათ რა, ნუ გეშინია, არ ვარ ათასი წლის,—თქვა თინათინმა.

— ათასის? ამდენს არც მე ვფიქრობდი,—უთხრა სიცილით ლევანტიმ.

თინათინ და ლევანტი არას დროს არ ყოფილან ერთმანეთში კარგათ განწყობილი: ლევანტი დასცინოდა თინათინს, თინათინს-კი სამაგიეროთ სძულდა ლევანტი.

— ა, შვილო,—უთხრა თინათინმა სამსონას, როცა გაათავა მისი მოკაზმვა—ღმერთმა იცის, ჩემი ქალობა შენ გადაგალიე, ღმერთმა მომიწყო ხელი, იმისთანაი ვაჟკაცი გამოგზარდე, რომ ჩვენ მუხურში შენისთანაი სხვა არ არის, ახლა საცოლო შეიქენი და სხვებმა დაგიწყეს პატრონობა, მარა მე მინც მიხარია შენი ბედი.

— რაღა იქნება, ჩემო რძალო, აი ძველებური საქციელი! მაშინ გითხარი—თუ გინდა შენ წადი-მეთქინ და არა, შენ წადიო-თქვი. ახლა ჩანს, თურმე საწყენათ გქონებია და გულში გიმარხავს!—უთხრა თავისებური პირდაპირობით ანნამ და ავადმყოფ სახეზე მრისხანების გამომეტყველება დაედო.

— ნენავ, თუ შენი საწყენი იქნება, ღმერთმა მე იგი ბედი ნუ მომცეს,—უთხრა თინათინს სამსონამ.

— არა, შვილო, მე შენი ბედი რაღა მეწყინება, ისე რაღა გამიწყლება ღმერთი! ღმერთმა, დამიწყევლიხარ, ნუ გეშინია, მე რომ მინდა, იმისთანა ბედი მოქცეს,—უბასუხა თინათინმა, რომელსაც იმდენზე არ უყვარდა თავის შვილობილი, რამდენზეც თავი მოსწონდა—ჩემი კაი ქალობით ასეთი კაი ვაჟკაცი გამოვიყვანეო.

ვინ იცის, იქნება უსიამოვნო ლაპარაკი მომხდარიყო, რომ ლევანტის თავისებური ხუმრობა არ დაეწყო.

— ჰო, ბიცოლა, რაღა იყო, შენ რომ ბალანაი იყავი და ერთმა აზნაურშიღიმა გითხრა, ციცავ, ერთ ქალათ მარტო შენი თვალები ღირსო? კიდევ ერთი წრეულს ვინცხამ კალამ მოგიტაცა თურმე—ქრივო, ასე მარტუაი რომ დეიარები, გადვირიე, ამიდულდა სისხლი ძარღვებშიო, გითხრა.

თინათინ ამისთანაებს ხშირად ამბობდა და არც ეწყინებოდა, თუ ვინმე მოაგონებდა ამას, მაგრამ ლევანტის დაცინვა ძლიერ აჯავრებდა და ამიტომ უთხრა:

— წადი იქით, ნუ მასხრობ. მასხრობა გასტავლეს იი დასაქცეველი კლასი იყო თუ რაცხა, სამ წელიწადს რომ იარე?

— რა გაჯავრებს, ბიცოლა, შენ არ თქვი ასე იყოო?

— დეიკარქე, იქით მეთქინ.

ამასობაში სასიძოდ გამოწყობილი სამსონა ვავიდა სტუმრებთან. სამსონა იყო საკმაოდ მაღალი და კარგა მოყვანილი ტანის, ლამაზი, შავგრემანი პირისახით, რომელსაც უხდებოდა დიდრონი წარბები და ახალ ამოხვითქულ მოლსავით შავი წვერი.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ, რომ გამოჩალოთულებარ! ასე უნდა სასიძო ბიჭი! ქალის სანახავათ რომ მიხვალ, ერთი იმისთანა თვალით უნდა შეხედო, რომ მაგიერი შამოხედვა ვეღარ გაგიბედოს,—უთხრა სიძემ სამსონას.

— და თუ გინდა სულ ვეღარ შამოგხედოს, სადგისი წვიდე და რომ მოხედოს, ჰკარი ორივე თვალბში,—დაუმატა ლევანტიმ თავისებური ხუმარა კილოთი.

— ბიჭო, შენ აღარც უფროსი იცი და აღარც უმცროსი, ასე მასხრობ და მასხრობ! კაი გაზდილი ხარ, კაი შენ მოგივა!—გაუწყრა ლევანტის თინათინ.

სხვებს-კი აუტყდათ სიცილი ლევანტის ხუმრობაზე.

შემდეგ ესკა, მისი ვაჟი, სამსონაი და სტუმრები შესხდენ ცხენებზე და გაუდგენ გზას.

II.

ერთ ფერდობზე, რომელსაც ზემოდან წაბლის ხეებით დამოსილი ქედი დაჰყურებდა და ქვემოთა მხარეს ვენახიანი ხეებით დაჩრდილული „დობირო“ დაჰყვებოდა, იდგა ძველებური სახლი, რომლის სახურავი—ისლი და ფიცრის კედლები მჭვარტლისაგან ერთობ გაშავებულიყო. სახლზე ცოტა მოშორებით პატარა ბეღელი და „ნალია“ (სასიმინდე),—აი ეს შეადგენდა უმთავრეს შემნობებს მთელს იმ მიდამოში. ამ ღარიბი სახლკარის პატრონი იყო ზალიკა გადაღმედი. ზალიკა ახლა კარგა ორმოცდაათი წლის კაცი იყო. ბატონ-ყმობის დროს ზალიკა „ფირალად“ იყო გავარდნილი და მუდამ შიშსა და ძრწოლაში ჰყავდა თავისი ბატონი. შემდეგ, როცა ჩვენ ქვეყანაში ბატონ-ყმობა მოისპო, ზალიკაც მოუბრუნდა თავის დანგრეულს ოჯახს და დაუწყა კეთება. იმ დროს გურიაში ძნელი საქმე არ იყო ფირალთაგან ასეთი შერიგება სოფელთან. როცა ცოტათი შეაკეთა ოჯახი, ზალიკამ დაიწერა ჯვარი ერთი მეზობელი გლეხის ქალზე, რომელთანაც, ამბობენ, ჯვარის დაწერამდეც ჰქონდა კავშირი. სოფელი არ უწონებდა ზალიკას—რა ძალა დაადგა იმისთანა ბიჭს, რომ მაინცა და მაინც სახელგატეხილი ქალი შერითო. მაგრამ ზალიკა ყურადღებასაც არ აქცევდა სოფლის ხმას. ადრე ზალიკა გახდა მამა შვიდი წვრილშვილისა. ეს მსუბუქი ტვირთი არ იყო ზალიკასთვის, მით უმეტეს, რომ, როგორც ვთქვი, ზალიკამ გვიან მიჰყო ოჯახობას ხელი. ვერ მოასწრო ერთი კარგად წელში გამართვა და აქკი დიდ რიცხვიანი წვრილშვილის რჩენა დააწვა ტვირთად. ამასთან კიდევ სიმოხუცეც შეეპარა ზალიკას. მძიმე იყო ზალიკასთვის ცხოვრების ტვირთი. მაგრამ ერთი რამ უმსუბუქებდა სიმძიმეს: სიყვარული ზალიკასა და მის ცოლსა და შვილებს შორის. ზალიკა, ეს სამაგალითო ვაჟკაცი, რომელსაც თავის ფირალობის დროს შიშსა და წრწოლაში ჰყავდა თავისი მეუღლე და მტრები, ისეთი ტკბილი მეოჯახე გამოდგა, რომ თავის დღეში ერთხელაც არ გაუნაწყენებია თავის ცოლ-შვილნი. იმდენზე მძლავრი გამოდგა ზალიკასა და მის მეუღლე ფატმანეს შორის ერთხელ ანთებული სიყვარული, რომ სიმოხუცის დროსაც კი არ ქრებოდა: ცოლ-ქმარს ახლაც ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი და ცდილობდნენ ურთიერთის სიამოვნებას. აღუშფოთებელად მიეგებენ ზალიკა და მისი მეუღლე მოხუცებას. მაგრამ ფონი რომ გახვიდეს, მერე დალოცვა, ნათქვამია,—ბოლომდე ამათაც ვერ განვლეს ტკბილად: ერთ საღამოს მეტად აღშფოთებული იყო ზალიკა და მისი ტკბილი ოჯახობა.

— ავი ბერიკაცი არ გამაძაღლონ, არ ამაღებონ თოფი ხელში, თვარა არ იქნება კაი!—ამბობდა ზალიკაი მისებური დაბალი ხმით, მაგრამ საშინელი მრისხანე სახის მეტყველებით.

— თლათ იმ გველი თინაის ბრალია ავი საქმე. მარა ანაი რას მიჩივა ახლა ამის მაგიორს! ერთი ანაი მანახვა ახლა, მეტი აფერი მინდა, პირიანი ქალიაო, რომ ჩიოდენ, სად არის მისი პირიანობა!—ამბობდა გაჯავრებით ზალიკას მეუღლე, ფატმან.

— არა, მე რომ მომენახა და პირიქით წავლენებო-

დი, კიდევ სხვაი იყო. კაცი თვითონ პირაქით მოვიდოდა თავის ნებით საქმე მოახთინა და ახლა გულზე ხელისკვრას მიპირობს! არა, ესე არ დავაბუნებულვარ ჯერე, რომ ავი გავაბედვო ვინმეს ჩემს ოჯახზე!

— ნუ გეშინია, ზალიკავ, ოღონ რეიზა დაგვემართა მეტქინ, თვარა ჩვენს მელანიას ბედი არცაროის არ დიეკარქვის. ამის გულიზა ნურც თოფს იღებ ხელში და ნურც თავს იკარქავ. ახლა არ გაპატიებენ, სხვა დროია. უთხრა ზალიკას ცოლმა.

— არა, ჯერ კიდევ აგერ ვუყურებ საქმეს და თუ გაბედეს, მაშინ...

რამდენიმე კვირა გასულიყო, რაც სამსონა წაბლაძე დაინიშნა ზალიკას უფროს ქალზე, მელანიზე. ახლა, როგორც გაიგეს ზალიკამ და მისმა მეუღლემ, წაბლაძე უარს ამბობდა მელანიას შერთვაზე. აი, ამ ამბავს აეშფოთებია ზალიკა და მისი ოჯახობა.

თითონ მელანია, რომელიც დაესწრო ამ ლაპარაკის დროს მშობლებს, არას ამბობდა, მხოლოდ სახეზე-კი ეხატებოდა რაღაც ერთგვარი ჯავრი.

(შემდეგი იქნება)

გიორგის „ფაუსტიდან“ ნაწყვეტები.

(დამკა. ფაუსტი ზის სტაფთან ვიწრ და მადალ-თაქებთან გატეურ თახში. მას მოუხსენებდა ატევიკა)

**ფაუსტი:** ფილოსოფია მთლად შევისწავლე, ვარ ექიმი და კანონ-მეტყველი... ბევრი ვიშრომე, ბევრი ვიწვალე და ბოლოს გაგხდი მე ღვთის-მეტყველი, მაგისტრ-დოქტორი ვარ მე ფხიანი, აგერ გათავდა მეთვე წელი; მაგრამ ვერა ვარ უფრო ტკვიანი, ვარ, როგორც წინათ, ისევე სულელი! წალმა-უკულმა ყოველ-ნაირად ჩემს მოწაფეებს ვატყუებ. ურცხვად... მაგრამ რა იმათ? ჩვენცა ვტყუვდებით, ნამდვილს ცოდნასა ჩვენ ვერ მივწვდებით.— სიცოცხლე ამით მაქვს მოშხამული, და ამ კითხვებმა დატანჯეს გული! თუმცა ვჯობივარ მაგისტრებს-ხუცებს, ცრუმორწმუნებით არ ვარ მოცული, არ ვუშინდები ჩვენებებს-ქაჯებს, ჯოჯოხეთი-კი ვერას დამაკლებს,— ნაცვლად ვერა ვგრძნობ სიამოვნებას, ტყუილად ვეძებ ქეშმარიტებას! ნაცვლად ვასწავლი მე ხალხსა ოდეს, შევიძინო ცოდნა—სულაც არ ვფიქრობ!... ამ ქვეყნიურსა პატივს—სიკეთეს შორი-ახლოთაც, რომ ვსთქვა, არ ვიცნობ. ძალიან ყოფნაა ეს ჩემი ყოფნა! დრო დამეკარგა სულ უმნიშვნელოდ!... მოდი, მაშ ვსცადო მოგეთა მე ცოდნა; იქნება—მართლაც სულებს შეეძლოთ საიდუმლოსი ბუნების ახსნა; მაშინ ჩემივე მე არ შემრცხვება, აღარას ვიტყვი წარა-მართა; სიცოცხლის ძალა მეცოდინება,



რა ავგლეჯ ბეჭედს, დაკრულს მაგრათა;  
მაშინ ვქადაგებ ჰეშმარიტებას,  
არა უაზრო სიტყვათა კრებას!..

(ფანჯრიდან მოვარკეს უფურცელს)

ახ, ბაღრო მთვარე, ნეტავ ამ ჟამსა  
ჩემს უკანასკნელს ჰხედავდე წამსა!

რათ ვერ მოჰქინე მკვდარ წიგნთ-გროვიდან  
შენ ჩემსა გულსა სიამოვნება?

რატომ არ ძალ-მიძს ძლიერ სულგებთან  
მეც მაღლა ფრენა და იმ სიღრმიდან  
შეერთებული შენსა სხივებთან

ძირს მთელი ქვეყნის თავს გადავლება!  
განვიკურნო რამ ძველის ტანჯვისგან—

აღარა მკლავდეს ცოდნის წყურვილი,  
განვთავისუფლდე მეცნიერული

უსარგებლო რა მეტის ბარგისგან,—  
შენის ნამითა ვიპყურო გული!

მე აქ დავლბები—ამ საბნელეთში,  
სადაც რომ გული კენისის ტანჯვებში;

სადაცა მხოლოდ მკრთალი შუქი ღლის  
ფერადს შუშებზედ ოღნავად დაჰკრთის.—

თითქმის ჰერამდის ეს თაროები  
წიგნებით არის გაჭედლები;

ზედ მტვერს არავინ არ გადასწმენდავს,  
ქიალუ-კი მათ ნელ-ნელა ჰხრავს.

ყოველგან ჰყრია ავეჯულობა—

ბანკა, ჰურჭელი ბლომად—ურგები,

მამაპაპური მომართულობა

და ძველის ძველი იარაღები.

დღე და ღამ შრომა მე აქ მიხდება!

ეს გახლავთ ჩემი ქვეყნიერება!..

ნუ თუ ვერ მიჰხვდი ჯერ აქამდინა,

რაზედ სწუხს, ფიქრობს შენი გონება,

ტანჯული გული რითი ღონდება,

მკვდრული სიცივე სულს რამ მოჰქინა?

შენა სცხოვრობდი ნებით უფლისა

ცოცხალს საზღვრებში კაცთ ბუნებისა,

მაგრამ ეს დიდი ნიჭი ღმერთების

შესცვალე სახედ დამპალ-მძორების!

ოჰ, გავშორდეთ ამ მყრალს კედლებს მალე,

რომ ვნახოთ იქ სხვა—საამო მხარე!

აი ეს წიგნი „ნოტრადამისა“

გაგვიღებს კარსა წმინდა ტაძრისა!

როცა სული სულს ესაუბრება,

ზეშთაგაგონებს თითონ ბუნება

და, რა შეიძენ ახალს ძალასა,

მიჰხვდები მნათობთ იღუმალს სვლასა.

მაგრამ ტყუილად ვუყურებ მისსა

წმინდა ნიშნებსა არსებობისა.

თავზედ მევლება, ვგრძნობ, კიდევ მესმის,

გრძნეული გუნდი ცხოველ სულების;

მეტის წადილით ღელვდება სული,—

მათ უნდა მომცენ პასუხი სრული!

დ. ნახუცრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ბ ი ბ ლ ი მ გ რ ა შ ი ს .

I.

რედაქციამ მიიღო მეორე შესწორებული გამოცემა „ბუნე-  
ბის საცნარი მოვლენანი“ რუბაკინის, თარგმანი სეგ. ჯუღელი-  
სა. ლაშარაკი იმაზე, თუ რამდენათ სასარგებლო და სასურველია  
ამგვარ წიგნების გამოცემა, ჩვენ მეტათ მიგვაჩნის; მათი მნი-  
შეხელობა ხალხის იმ ერთ ნაწილისათვის, რომელსაც ცოდნა  
სწეურობა და თვით-განვითარებას ესწრაფვის, ყოველ ეჭვს გარე-  
შეა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ წიგნი მეორეთ არის გამოცემული  
და ამგვარი ბედი, როგორც მოგვესახებათ, ჩვენში არა ბევრს  
წიგნს ხვდება. ნ. რუბაკინი ერთი საუკეთესო ზემოეკლერისა-  
ტარათგანია, მისი წიგნები უველა დიდი ინტერესით იკითხება  
და ამასთან ერთად ბევრ ცოდნას იძლევა. სასურველია, რომ  
მთარგმნელი აქ არ შეჩერდებოდეს და რუბაკინის სხვა ნაწარმო-  
ებსაც მიაწვდიდეს ქართულ მკითხველს ისე ჩინებულათ ნათარგმნს,  
როგორც ეს ზირველი წიგნია. წიგნაკში მარტოვით და გასაკუ-  
ბათ ახსნილია, თუ როგორ ჩნდება მიწის-ძვრა, ქარი, ცის-სარ-  
ტყელა, კრიკალი, სისხლის წვიმა და სხ. შიგვე არის რამდენ-  
ნიმე სურათი, და გამოცემულია წიგნების გამომცემელ ამხანაგობის  
„ცოდნა“-საცან.

II.


„ლექსები“ დავით გაბრუაშვილისა.

ლექსების წერა ქართველების საზოგადო სენია, 95% უსა-  
თუოდ მოდექსეა და აი ამით შორის ამ სენს შეუხერია ბ. გაბრუა-  
შვილიც. ალბათ ასეთია ბუნება ქართველის! რას იზამთ?! მე რომ  
მკითხვთ, აქ ცუდი არა არის-რა—სწერს, ვისაც რამდენი სურს,  
სწერს და თვითონვე იკითხს. მაგრამ, როცა მოდექსე ამით  
არ კმაყოფილდება და თავის ნაწარმოები ბაზარზე გამოაქვს გა-  
სასაღებლად, მაშინ კი ნურას უკაცრავათ, თუ მოგახსენებთ: „არა,  
ბატონო, ჩვენ თავი დავგახებთ, თქვენი ლექსი თქვენთვის“!  
ბ. გაბრუაშვილი, თუ კი მართალია ერთი რუსის მწერლის სი-  
ტყუები,—მწერალი თავის ნაწარმოებში ინსტუბა,—მეტად ზა-  
ტიოსანი, მართალი და გულ-მტკივნეული კაცი უნდა იყოს, მაგრამ  
ზოგჯერ კი არა. ბ. გაბრუაშვილი მეტად ხათრანისე არის: ბეჭ-  
დი იმისი ლექსი ამ სათაურისა: „მამს, როდესაც მთხვა—  
ერთი ლექსი დამიწერე“, „კატას, როდესაც მთხვა ერთი  
ლექსი დამიწერე“. დიას, ხათრანია, მაგრამ ზოგჯერ კი არა.  
და აი ამისთვის, სხანამ ბ. გაბრუაშვილი თავისთვის სწერდა და  
თავისსავე თავს უკითხვდა, ჩვენ საწინააღმდეგე არაფერი გვეჭნ-  
და, მაგრამ, როცა ჩვენ გვაწვდას წასაკითხვად, მაშინ კი ნურას  
უკაცრავად... წიგნი შეიცავს 125 გვერდს და ღირს 25 კაპ.

ქურნალ-გაზეთებიდან.

შეას წინათ „ივერია“ უკვირებდა „ცნ. ფურცელს“,  
ქართული წერა არ იცისო. ახლა გამოჩნდა, რომ არა  
თუ წერა, არამედ ქართული კითხვაც არა სცოდნია. მო-  
გვხსენებთ, რომ ეს გაზეთი განახლებისთანავე აგვიტყდა  
და ისეთს რამეს გვახვევს თავზე, რაც არც-კი მოგვიფიქ-  
რებია. და აი, სამშაბათის ნომერშიაც ერთი ისეთი დიდი  
ტყუილი გამოატყვირინა, რომ აღარ ვიცით, რა გუწოდოთ  
ამ გაზეთს, „ცნობის ფურცელი“ თუ „ქორის ფურცე-  
ლი“. ის სწერს:

„უკანასკნელ №-ში „კვალი“ ეხება ქუთაისის ამბებს და  
აკბადებს, რომ ბ. ლოლუას დამარცხება „დიდად სამწუხა-  
როაო“. ამგვარი განცხადება „კვალისაგან“ გასაკვირველი არ  
არის: ეს გაზეთი ერთ დროს ძალიან გახარებული იყო კ-



ჩიკვაძის გამარჯვებით და თვისი სოციოლოგიური მოძღვრებაც კი მოიხმარა ჩიკვაძის დაცვა-გამართლებისათვის; რალა საკვირველია, რომ გაზეთს ეხლა ბ. ლოლუას დამარცხება სწყენია? კ. ჩიკვაძე—ბანკში, ბ. ლოლუა—ქალაქის გამგეობაში, ბ. კალატაზიშვილი—მარგანეცის მრეწველთა საბჭოში,—აი „კვალის“ საზოგადო სიმპატიები საითკენ არიან მიმართულნი!

ყველა ეს თავიდან ბოლომდის ცილის-წამებაა. და აი საბუთებიც:

**„კვალის“ სწკრდა:**  
 „ჩვენ არა ვართ იმ აზრის, რომ მოწინააღმდეგე საზოგადო ასპარეზზე დამარცხდეს სრულიად გარეშე ძალით, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ამ ბრძოლასთან. ბ. ლოლუა დამარცხდა, მაგრამ არა ოპოზიციის წყალობით, და ეს სასიხარულოა არა, დიდად სამწუხარო უნდა იყოს ყოველი ჭეშმარიტი მებრძოლისათვის... თუ რამ სამწუხაროა აქ, ეს ისევე ის, რომ ქუთაისში დამნაშავესაც შეუძლია საზოგადო საქმეების სათავეში მოიქცეს და პარტიათა ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს.“ და სხ.

აქედან ცხადია, რომ „ცნ. ფ.“ სიტყვები ერთიანათ მოკორებულა. ჩვენ სამწუხაროთ ის-კი არ მიგვაჩნია, რომ ლოლუა დამარცხდა, არამედ ის, რომ დამარცხდა არა პარტიული ბრძოლის ასპარეზზე, არამედ სრულიად გარეშე ძალით. ის დამარცხა არა ოპოზიციამ, არამედ მთავრობამ. ასეთი საქმე დაემართა ოპოზიციის ქალაქის თავსაც და იმავე მოსაზრებით ჩვენ ეს სამწუხაროთ მიგვაჩნია. „ცნ. ფურცლისათვის“, როგორც ჩანს, ეს სულ ერთი უნდა იყოს. ოღონდ-კი განშორდი ამ ბრძოლის ასპარეზს და ამის მიზეზი მოწინააღმდეგე იქნება თუ პოლიცია—ეგ მისთვის სულ ერთია. ეს არის პირველი ქორი „ცნ. ფურცლისა“. ახლა მეორე.

**ჩვენი გაზეთის ხელმძღვანელი „კვალის“ სწკრდა:**  
 „ამნაირათ, კ. ჩიკვაძის „ჯიბის“ პოლიტიკა და ოპოზიციის უგზო-უკვლობა, აი ვინ იბრძვის დღეს ქუთაისის საბანკო ასპარეზზე. განა საჭიროა იმის თქმა, რომ ჩვენ არც ერთ ამათ არ ვემხრობით? ეს ყოველი ჩვენი მკითხველისათვის თავის-თავათ ცხადი უნდა იყოს... ის პარტია, რომელიც ამ ორივე პარტიის ნაკლებულეგანებას უარჰყოფს და მათ ღირსებას შეითვისებს—აი ის იქნება ნამდვილი საბანკო მოწინავე პარტია და გამარჯვებასაც მას ვუსურვებთ.“ (1899 წ. გვ. 203).

ეს მეორე ქორი. აი მესამეც:  
**„კვალის“ სწკრდა:**  
 „მეორე შეცდომა ოპოზიციისა (შავიქვის მწარმოებელთა კრების) მდგომარეობს საბჭოს არჩევნების საქმეში. რაკი ბ. ნიკოლაძემ გადაჭრით უარი თქვა კანდიდატობაზე, მეორე კანდიდატი (ბ. კალატაზიშვილი) აღარ უნდა წამოეყენებინათ... ბრძოლის ხალისმა ისე გაიტაცა, რომ კანდიდატთ ვიდაც კალატაზიშვილი წამოაყენა, რომლის ვინაობა და მოქმედება დღესაც წყვედი-

**„ცნ. ფ.“ სწკრდა:**  
 „უკანასკნელ №-ში „კვალის“ ეხება ქუთაისის ამბებს და აცხადებს, რომ ბ. ლოლუას დამარცხება „დიდად სამწუხაროა“... ბ. ლოლუა—ქალაქის გამგეობაში“. აი რა სურს „კვალსო“.

**„ცნ. ფ.“ სწკრდა:**  
 „ეს გაზეთი ერთ დრთს ძალიან განხარებულ იყო კ. ჩიკვაძის გამარჯვებით“ და სხ.  
**„ცნ. ფურც.“ სწკრდა:**  
 „...ბ. კალატაზიშვილი—მარგანეცის მრეწველთა საბჭოში—აი „კვალის“ საზოგადო სიმპატიები საითკენ არიან მიმართულნი“!

ადით მოცულია“ და სხ. (1900 წ. გვ. 650).

ახლა, რას იტყვით ამ მესამე გასაშტერებელ ქორზე? განა მოწინააღმდეგის აზრის გადამახინჯება ამაზე უფრო შორს წავა? და ასე ქორობს და ქორობს ეს ვითომდა ახალი გაზეთი. ამიერიდან მას უნდა დაერქვას „ქორის ფურცელი“ და იმედია ამ სახელს შესაფერათ ატარებს.

\*\*\*

სამშაბათის ნომერში „ივერია“ გამოგვედგავა, მაგრამ ამას ჩვენი სიტყვები გადმოგეტყლილი მაინც აქვს და მკითხველს შეძლებას აძლევს მათი წაკითხვისას. „ივერიას“ „ცნობის ფურცელივით“-კი არ გადაუმახინჯებია ჩვენი აზრი, არამედ ვერ გაუგია. ჩვენ ვწერდით: ღურგალთა ამხანაგობა „შრომაში“ „სრულ-პაიანი იქნება სულ 20—30, რომლის უმრავლესობა გარეშე პირებია. ხოლო თვითონ ღურგლები, რომელნიც ქარხანაში მუშაობენ და „შრომა“ თავის შრომით გამოაქვთ, ხმას მოკლებულნი არიან“ და სხ. „ივერიას“-კი ამ „გარეშე პირებათ“ მიუღია მხოლოდ ინტელიგენტები, რომლის რიცხვი სამიოთხია (30-ში) და არა უმრავლესობა. გარეშე პირებათ ჩვენ ვთვლით ყველა იმათ, ვინც ღურგალი არ არის და ქარხანაში საჭიროების დროს არ მუშაობს. ამას მოწმობს თვით წესდებაც. ხოლო იმ 30 სრულ-პაიანთა შორის რომ თვით ღურგლები უმცირესობაა, ამას „თვით“ ბ. ახნაზაროვიც ვერ უარჰყოფს...

არა, საზოგადოთ კარგი იქნება დაწერილს ჯერ გაიგებდენ და მერე წარმოსთქვამდენ მსჯავრს.

მეცნიერება და მეცნიერები.

წერილი პირველი

I.

Sine ira et studio.

თანამედროვე ერთა და სახელმწიფოთა ინტერესები ისეა გადახლართული ურთიერთ შორის, ერთი ქვეყნის გონებრივი და მატერიალური განვითარება და ბედ-იღბალი იმდენათ დამოკიდებულია მსოფლიო ცვლილებათაგან, რომ ჩვენი ერის განვითარების კანონს ისე ვერ გავითვალისწინებთ, თუ არ შევისწავლეთ, არ შევიგნეთ კულტურულ ხალხთა ცხოვრების საერთო პირობები და ამ პირობათა გავლენა (პირდაპირ ან არა-პირდაპირ) ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სახსრებზე. თუ-კი ერთა ანუ სახელმწიფოთა შორის ასეთი დამოკიდებულობა არსებობს, რალა გასაკვირველია, თვით ერში, მის ნაწილთა შორის უფრო მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულობა არსებობდეს. ამიტომ მთელი ერის განვითარების კანონთა გამოკვლევისთვის აუცილებელი საჭიროა ამ სხეულის თითოეულ ნაწილის (გუბერნიის, მაზრის, სოფლის, ქალაქის) კერძოთ შესწავლა; აგრეთვე ამ სხეულის თითოეული ნაწილის (სოფლის, ქალაქის და სხვ.) განვითარების გზის გასარკვევათ საჭიროა შესწავლა, თუ რა გავლენა ჰქონდა და აქვს ამ ნაწილზე როგორც მთელი სხეულის ზრდის საერთო პირობებს, ისე დანაჩენ მის (სხეულის) ნაწილებში მომხდარ ცვლილებებს. მაგალითად, უნდა გამოვიკვლიოთ თითოეული სოფლის ისტორია, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, მიწის კონფიგურაცია



(configuration du sol) და სხვ.; უნდა გავითვალისწინოთ გარემოე ძალთა გავლენა ამ სოფელზე; შევიტყუოთ რა და რა ხელობა იყო აქ გავრცელებული; ქალაქს რა გავლენა ჰქონდა მის შინაგან ცხოვრების რომელსამე მხარეზე; მერე სხვა-და-სხვა სოფლებთა განვითარების მსვლელობა შევადაროთ, დაფუძირდაპიროთ ერთი-მეორეს მათი ცხოვრების სხვა-და-სხვა მომენტებში და რაც შეიძლება დიდი პერიოდის განმავლობაში; ამ შემთხვევაში მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში ამ სოფელთა ზოგიერთ პირობებზე შორის არსებული განსხვავება: უნდა გამოვკვლიოთ ამ განსხვავებათა ბუნება და თითოეულ მათგანის გავლენა ამა თუ იმ სოფლის ან სოფლების სხვა-და-სხვა მხარის განვითარებაზე; საჭიროა აიხსნას, თუ რა გავლენა ჰქონდა რომელსამე მხარეში ერთ წარმოების განვითარებას სოფლის ან მხარის, ან ქალაქის საერთო ეკონომიურ ცხოვრებაზე და სხვა-და-სხვა ქონებათა და სიმდიდრეთა განაწილებაზე. ამ უკანასკნელ კითხვის რიგიანად შესაგნებლად საჭიროა, რომ ვიცოდეთ:

- ა) მეურნეობა რა პირობებშია;
- ბ) რამდენგვარი მესაკუთრებებია;
- გ) რამდენია ისეთი მესაკუთრე, რომელიც ცხოვრობს თავის შრომით (მისი და მისი ოჯახის წევრთა) თავის მამულში და მიწას არ აქირავებს;
- დ) რამდენია ისეთი მესაკუთრე, რომელიც თვით მამულში არ მუშაობს, მხოლოდ არენდათ აძლევს მიწებს და შემოსავლით ცხოვრობს;
- ე) რა და რა გვარი და თითოეულ კატეგორიაში რამდენი ფერმერია;
- ვ) რამდენია ისეთი მესაკუთრე, რომელიც იძულებული არიან წავიდნენ სხვაგან მუშად; 1) რამდენია მათ შორის ისეთნი, რომელნიც მთელი წელიწადი მუშათ არიან; 2) რამდენია მათ შორის ისეთნი, რომელთაც ჯერ ერთიანათ არ აუღიათ ხელი მუშაობაზე თავის ოჯახში და თავის მიწაზე; 3) როგორია მათი ეკონომიური, ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა; 4) შედარება თითოეული ამ კატეგორიათა იმ მუშებთან, რომელნიც მუდამ ქალაქში ცხოვრობენ; 5) როგორ შეუძენიათ ან როგორ იძენენ მიწა-წყალს საკუთრებად;
- ზ) რამდენია ისეთნი, რომელნიც სახლობენ ნაქირავებ მიწაზე და თვითონ-კი მუშად მიდიან;
- ც) როგორ მატულობს სოფლებში მცხოვრებთა რიცხვი: მესაკუთრეთა (თითოეულ კატეგორიის ცალკე); ფერმერთა (თითოეული კატეგორია—ცალკე); და არა-მესაკუთრეთა, ბოგანოთა;
- თ) შედარება სოფლის და ქალაქის მცხოვრებთა განმრავლებისა;
- ი) თითოეული ამ ცვლილებათა მიზეზების გამოკვლევა და სხვა.
- კ) უკანასკნელად: რანაირათ ნაწილდება საზოგადოებაში ქვეყნის სიმდიდრე;
- რასაკვირველია, ამგვარი გამოკვლევა დიდ შრომას და დიდ ცოდნას მოითხოვს; თვით კვლევა და მასალით რიგიანათ სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მართლად იცნობს სხვა-და-სხვა გვარ მეცნიერულ მეთოდებს და იცის მათი ხმარება და არა იმას, ვისაც მუდამ ენაზე აკერია „ინდუქტიური“ მეთოდი, **მეცნიერებას სახელება** და არც ერთს არა გაეგება-რა. გარდა იმ იარაღ-

თა, რომლებითაც ადამიანი შეიძლება მეცნიერებამ, შრომამ აღჭურვოს, გარდა ამ იარაღთა—საჭიროა კიდევ ცოტა რამ... საჭიროა გამჭირახობა, ისეთი გონების თვისება, რომელიც მკვლევარს აღამაღლებს, მისცემს ნებას, ფაქტებს, დეტალებს ზევიდან გადმოხედოს, საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას ერთბაშათ თვალი გადაავლოს და გაითვალისწინოს ეს განვითარება, როგორც ისტორიული მოვლენა; საჭიროა ისეთი გონების თვისება, რომელიც მკვლევარს არ დასტოვებს მონად წვრილმანებისა, კერძო, დროებითი მოვლენებისა და მას ამხელს საერთო კანონს ეკონომიურ განვითარებისა... საჭიროა ისეთი გონების თვისება, რომელიც ფრთას შეასხამს მკვლევარის აზროვნებას, რომელიც, აღნიშნულ დეტალების მატერიალურ ცხოვრების მეხანიზმის შესწავლის შემდეგ, მაღლა ააფრენს მის აზროვნებას, რომ მას დროებით თვალწინ ჰქონდეს მხოლოდ ტიპიური მოვლენები, რადგან მხოლოდ ამ პირობაში შეიძლება საერთო კანონების გამოაშკარავება. მაგრამ ბუნება ხანდისხან ძუნწია... ყველასთვის როდია ის გულ-უხვი. ბუნებაშიც ერთგვარი კაპიტალისტური წეს-წყობილობაა... თუ ერთი მხრით ბუნებამ აუარებელი გონებრივი სიმდიდრე მოათავსა დროვინების თავებში, მეორე მხრით ძალიან ბევრს ის გამოაცალა და სუსტ აზროვნების ამარა დასტოვა... თუ დარვინები შემდეგ დაწვრილებით კვლევისა მიფრინავენ მაღლა, რათა დროებით მოიშორონ დეტალები და გაითვალისწინონ საერთო კანონები, საბრალო, ბუნებისაგან ფრთებ შეკვეცილნი რჩებიან დეტალებზე მიჯაჭვულნი, უძლურნი და, მაშასადამე, უღირსნი საერთო კანონების ხილვისა და შეგნებისა. აი ასეთ გამოკვლევას ეკუთვნის ბ. მარველი, რომელმაც გასულ წელს „ივერიაში“ რამოდენიმე ფელეტონი დასტამბა ამ კითხვების შესახებ (№ 247, 248 და სხ.) და რაიცა მიზეზათ გახდა ამ წერილების დაწერისა. ჩვენ დაწვრილებით არ გამოუდგებით ბ. მარველს, ჩვენ მხოლოდ საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ ზოგი ეკონომიური კითხვები, რომელნიც შეკავშირებულია სიმდიდრის განაწილებასთან თანამედროვე ერებში.

არის თუ არა სიმდიდრის კონცენტრაცია? მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ამ კითხვაში ორ რაზმით იყოფა: **ერთი**, რომელიც ფიქრობს, რომ საზოგადოებაში არაა ისეთი ნაწილები, რომელთა შორის მორიგებით, თანხმობით არ მოხერხდებოდეს საზოგადოებრივ კითხვათა გადაჭრა და უარს-ჰყოფს საზოგადოების ორ შეურიგებელ დასათ დაყოფას; **მეორეს-კი** მიაჩნია სოციოლოგიურ ქეშმარიტებათ ის, რასაც პირველი აღიარებს უსაფუძვლოთ. რასაკვირველია, ამ ორ რაზმთა შორის არის გრადაცია, რასაკვირველია, თითოეულ რაზმში არის **მარცხენა** და **მარჯვენა**, რასაკვირველია, ორივე რაზმში ბევრია სუსტი ლოლიკის პატრონი, არა-გამჭირახი, გზა-დაბნეული, მაგრამ ეს ჩვენ არ დაგვიშლის ეს ორი რაზმი ერთი-მეორისაგან გავარჩიოთ; **მარჯვლად რაზმის** ჯარის-კაცი სიმდიდრის კონცენტრაციას უარს-ჰყოფენ; ამბობენ—კონცენტრაცია კაპიტალისა არ არსებობს, სიმდიდრე სრულიად არ გროვდება და არც თავს მოიყრის არასოდეს რიცხვით თან-და-თან უფრო ცოტა კაპიტალისტთა ხელში და ბ. მარველივით გაიძახიან: „საოცრათ მრავლდება წვრილ მეურნეთა რიცხვი“-ო, „გლახთა

მიწათ-მფლობელობა იზრდება და მატულობს, წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი მრავლდება... ერთი სიტყვით, ისინი გვარწმუნებენ, რომ შიში ნუ გაქვთო და ნურც ემდურით თანამედროვე პირობებს, რადგან ეს პირობები ხელს არ უშლის წვრილ მესაკუთრეთა გამრავლებას და, მაშასადამე, საზოგადოების სიმდიდრის, ქონების **თავისთავაზთ** თანასწორათ განაწილებასო. ასე სწერს ბ. მარველიც და მისი ციფრების შემდეგ, რა სათქმელია, ჩვენნი უკმაყოფილება, ჩვენი ძებნა რაღაც სინათლისა, რაღაც სრულიად ახალ პირობებისა უსაფუძვლოა, უნაყოფოთ დროს დაკარგვია...

სანამ შევეუდგებოდეთ კონცენტრაციის განხილვას და ბ. მარველის ციფრების სიყალბის დამტკიცებას, ჩვენ მიგვაჩნია საჭიროთ აღვნიშნათ აქ ბ. მარველის პოლიემიკური ხერხი, რაიცა დასაგმობია ყველა კაცისაგან. ის ცილს წამებს ზოგიერთ სწავლულთ და აწერს მათ ისეთ აზრს, რომელიც სრულიად მათ არ ეკუთვნით და რის წინააღმდეგ არა ერთხელ გაილაშქრეს. ბ. მარველი ამტკიცებს („ივერია“ № 247) და ხშირად იმეორებს, ვითომ ენგელსი, ვანდერველდი და სხ. „მზად არიან მთავრობას მოუწოდონ გლეხობის გასაცამტვერებლად, მიწა-ადგილის ხელიდან გამოსაკლელად“, და იმავე ნომერში სწერს, ვითომ მარქსისტები ამბობდნენ: „სასურველიცაა გლეხთა გაღარიბება, გაკოტრებაო“. ჩვენ გვიკვირს, როგორ გაუშვა „ივერიის“ რედაქტორმა შეუნიშნავად ეგეთი ცილის წამება! ვისაც კი წაუკითხავს ენგელსის წერილი „Die Bauernfrage in Frankreich, u. Deutschland“ („Neue Zeit.“ 1894—95, № 10) ის დარწმუნდება ბ. მარველის ცილის წამებაში.

ან შეიძლება თქვათ, ენგელსი არა, მაგრამ მისი მიმდევრები-კი ასე ფიქრობენო. ესეც ცილის-წამებაა. აი, მაგ., მისმა „მიმდევრებმა“ საფრანგეთში რა გადასწყვიტეს ერთ თავის კონგრესზე: „თუმცა წვრილ მეურნეთა საკუთრება ძალა-უნებურათ უნდა გაქრეს, მაგრამ ჩვენს მოვალეობას ამის დაჩქარება-კი არ შეადგენს... არამედ, პირიქით, ამ საკუთრების მათთვის შერჩენა წინააღმდეგ ხაზინისა, ჩარჩობისა და დიდ მესაკუთრეთათა“ და სხ...

ეგ ერთი და სრულიად საკმარისი საბუთი, რომ ბ. მარველმა ცილი დასწამა მარქსისტებს, მაგრამ ჩვენ კიდევ მოვიყვანთ სხვების სიტყვებსაც. აი რას ეუბნება ბელტოვი ბ. მარველისთანა ცილის-მწამებლებს: „Стараться... вообще о выкуриваніи лишняго мужика изъ деревни? Съ нами крестная сила! Зачѣмъ же стараться? Вѣдь приливъ новыхъ рабочихъ рукъ въ среду фабричнаго населенія поведетъ къ пониженію заработной платы. Ну, а вѣдь даже и г Кривенко извѣстно, что пониженіе заработной платы не можетъ быть полезно и пріятно рабочимъ. Зачѣмъ же стараться принести рабочему вредъ?...“ „Стараться о развитіи кулачества, о разрушеніи общины, объ *обезземеленіи населенія* (კუჩისიგო ჩვენას). Какіе ужасы! Но зачѣмъ же стараться обо всемъ этомъ? Вѣдь развитіе кулачества и обезземеленіе населенія можетъ отразиться на по-

ниженіи его покупательной способности, а пониженіе покупательной способности поведетъ къ пониженію спроса на фабричныя издѣлія, а пониженіе спроса на фабричныя издѣлія понизитъ спросъ на рабочую силу, т. е. понизитъ заработную плату“<sup>4)</sup>. როგორც ხედავთ, ბელტოვი სასაცილოთ იღებს ბ. მარველისთანა ცილისმწამებლებს. ბ. მარველი ერთ სიტყვასაც ვერ მოძებნის ბელტოვის თხზულებაში თავის ცილისწამების გასამართლებლათ. ვალდებული კია ეძიოს!

ბ. მარველი ხშირად და პატივით იხსენიებს ვანდერველდს, მაგრამ იხსენიებს მხოლოდ იმიტომ, რომ ტყუილი მოუგონოს. რომ ბ. მარველი ვანდერველდის ნაწარმოებებს არ იცნობს—ეს აშკარაა, თორემ ბელგის შესახებ იმდენ შემცდარ აზრს არ წარმოსთქვამდა და უთავბოლოთ ციფრებს არ მოიყვანდა. საუკეთესო გამოკვლევები ბელგის ცნობების შესახებ უქვეყლად ვანდერველდის კალამს ეკუთვნის<sup>5)</sup>.

ბ. მარველის აზრი ვანდერველდზე რომ ყალბია, ცხადათ სჩანს შემდეგი ფაქტიდან: **განდევნული გლეხობას ასე უყუბებს, როგორც ენგელსი**. ბ. მარველმა კი საღდაც გაზეთში ამოგლიჯა არა მთელი წინადადება, **ახსნაღი** აზრი, არამედ მარტო ერთი სიტყვა და ამანირად დასწამა ვანდერველდს ის, რაც ცნობილ ბელგიელ მეცნიერს არასოდეს აზრში არ გაუვლია. თუ-კი ერთის სიტყვის მოყვანით რამეს დამტკიცება შეიძლება, მაშინ ისიც შეიძლება დამტკიცდეს, რომ ბ. მარველი—ხლესტაკოვი ან „чумазын“-ა, რადგან ორივე სიტყვა არის ნახშირი მის სტატიაში. მაგრამ ამგვარად სხვისი აზრის დამახინჯება თავმოყვარე ადამიანს არ ეკადრება.

ბ. მარველი სწერს „ივერიაში“ (№ 247): ვანდერველდმა „აღნიშნა რა შემოხსენებული მოვლენა (ვითომ გამრავლება წვრილ მემამულეთა), რომელიც საეხებით არღვევს მარქსის ცრუ კანონს (ე. ი. სიმდიდრეთა კონცენტრაციას), ენგელსისა და მის მოწაფეთა მიერ გაზვიადებულს“... და სხვ. ეგ სიტყვები ყოველ სიმართლეს მოკლებულნი არიან. ვანდერველდი, პირიქით, თავის მონოგრაფიებში და სხვა ნაწარმოებებში ამტკიცებს, რომ წვრილი საკუთრება ქრება და შეუძლებელია მისი ხსნა; ვანდერველდი ამტკიცებს, რომ დიდი კაპიტალი ყლავავს პატარას... ჯერ აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ ადგილებს ვანდერველდის თხზულებებიდან, სადაც ის წარმოსთქვამს თავის დასკვნას ამ კითხვის შესახებ, რადგან ჩვენთვის ამ ეამად საჭიროა ვაჩვენოთ მკითხველს, რომ, წინააღმდეგ ბ. მარველის ბძანებისა, ვანდერველდი თვით აღიარებს, როგორც ფაქტს, კაპიტალთა კონცენტრაციას, მის აუცილებლობას და აუცილებლობას, სამწუხაროთ, წვრილ საკუთრებათა გაქრობისას.

4) Бельтовъ. Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію. გვ. 259. მკითხველს ვურჩევ ბელტოვის წიგნში 259 გვერდიდან წაიკითხოს კიდევ რამოდენიმე ფურცელი, რომ უფრო ნათლად დაინახოს ბ. მარველის სიცრუე ბელტოვის შესახებ.

5) ყველა მის თხზულებებს ბელგის შესახებ ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით და ეს საჭიროთაც არ მიგვაჩნია. აი უმთავრესი მისი ნაწარმოებნი: 1) Enquête sur les associations professionnelles d'artisans et ouvriers en Belgique. 2) La propriété foncière en Belgique. 3) Le socialisme en Belgique ეს უკანასკნელი შედგენილია ვანდერველდის და დესტრეს მიერ ერთად.




აი ვანდერველდის სიტყვები: „მრეწველობის განვითარებამ დიდ ქალაქებში კერასთან შრომა ან სულ გააქრო—ცხობა პურის, დამუშავება შემის, ქსოვა და რთვა ხელით ოჯახში სახმარებლათ—ან და გადააქცია საშინაო მრეწველობათ, რაიცა ძალიან მცირე ხელფასით ჯილდოდება და რაც ჯერ კიდევ არსებობს მთიან ადგილების მალლობებზე და დაბლობს ზოგ ალაგასაც“<sup>6)</sup>. ან კიდევ: „ღღეს ყველამ იცის, რომ ყოველგან, სადაც-კი კაპიტალისტური წარმოება შევარდება, გლეხის წვრილი საკუთრება ირღვევა, რასაკვირველია, ზოგან ნელო, ზოგან ჩქარა“<sup>7)</sup>. „რიცხვი მესაკუთრეთა, რომელნიც საკუთარ მიწას ამუშავებდენ, სანახევროთ, თუ სულ მთლათ ერთიანათ, 1895 წ. იყო 231,319, 1888 წელთან შედარებით 62205 ნაკლები, ანუ ნაკლები 21%“<sup>8)</sup>. კიდევ: „ამ ჟამათ ეს წვრილი მეურნეთა საკუთრება, რომელიც ქრება დიდი მეურნეობის წინაშე“<sup>9)</sup> და სხვ. და სხვ.

ესლა მკითხველისთვის ცხადია, რომ ბ. მარველის მიერ „ივერიაში“ გამოთქმული აზრი შეცდომაა.

დ. თოფურაძე.

ქ. თენგიზი.



Mitternich 1773-1859

მეტერნიხი.

კითხთ: რაში არსებობს ინგლისის ძლიერება? ცხადია, იმის მრეწველობა-ვაჭრობაში.—საფრანგეთის, ამერიკის, გერმანიის და სხვათა,—ყველასი არსებობა დღეს მხოლოდ იქ ჰოულობს სასიცოცხლო წყაროს. ასეა დღეს და ასევე იყო ძველათაც; რომელსავე ქვეყანაში ვაჭრობის აღორძინება ნიშნავს არა მარტო შრომის განვითარებას და დახვეწებას, არამედ მასთანვე ის აღვიძებს მადნებისაგან მინი-ტებულ სიმდიდრეს, უცვლის მას სხეს და მისხმარ საგნათ ხდის, რაც დღეს ადამიანისათვის უსარგებლოა. ცხადია, ასეთი ზრდა იწვევს ეკონომიურს წინააღმდეგობას თვითონ ხელში, მაგრამ მუცკეს მხრით ზრდის ეროვნულ სიმდიდრეს, აგრძელებს კულტურულ დაწესებულებათ. ამ მოწოდებათა ასსრულებლათ თვითონ ვაჭრობას იმდენი ძალა უნდა მოეპოვებოდეს, რომ მან ქვეყნის აღორძინება შეიძლოს და მის არსებობას ხელს, კლდეები და მინდვრები გრძობდეს. ამგვარი ძალ-დინე-კი ჩვენს საშინაო ვაჭრობას არ მოეპოვება. ის უფრო წვრილმასია, წვრილ მოვაჭრეთა ხელშია. ის უფრო განსზღვრული ცოდნა-ქანების მატარებია, ვინემ დღევანდელი საერთა-შორისო ვაჭრობა თხოულობს. ის სასურველათ ვერ აწვითარებს ჩვენი ხელის საწარმოო ძალას, ვერ ასხვავებებს ჩვენს მადნებს, კლდეებს, მინდვრებს,

ერთი სიტყვით, ვერ გვიქადის ახლო მომავალში ჩვენი ქვეყნის შესაფერათ აღორძინებას.

ვთქვით, რომ ჩვენი დღევანდელი ვაჭრობა საზოგადოთ უძლეურია და, ცხადია, ის ვერ აღგვირსულებს იმ იმედებს, რომელთაც ჩვენ ვუტრფით, მაგრამ ამის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხომ აღურიცხველია და კარგ მოკეთეთა ხელში იმის გარდაქმნა ჩვენს ქვეყანას აყვავებს. ასე ფიქრობენ უცხოელნი მოგზაურნიც. ერთი მოგზაურთაგანი, ინგლისელი, წვერი ინგლისის მარლბორგის ბ. ჯ. ნორმენ, რომელიც რუსეთიდან ჩვენში გადმოსულა, ამ იანვრის „Sarlner's Magazine“-ში წერს: „ვისაც სურს იმის დამტკიცება, რომ მთელ ქვეყნიერებაზე უფრო საინტერესო ქვეყანა კავასია, ეჭვს გარეშეა, ის ამის დასამტკიცებლათ მკვიდრ საბუთს ადვილათ იშოვისო“. იმსვე მოჭყავს ბათუმში დიდბრიტანიის კონსულის ბ. სტეფენის ნათქვამი: „უფელ ეჭვს გარეშეა, რომ ცოტა ცვლილებითაა, ამ ქვეყნის აღურიცხველი სიმდიდრის წყარო, რომელიც ბუნებისაგან უხვათ არის დაჯილდოვებული, შეიძლება ჩქარა განვითარდეს კაპიტალისტებისა და მცხოვრებლების სასარგებლოთ“. ამას ამობენ ჩვენ შესახებ თვალისა და ყურის, გაონებისა და ცოდნის მექანი ინგლისელნი. მატკიცებელი ნორმენი ჩვენი ცხოვრების სხვა მხარეებსაც ეხება, მაგრამ შეიძლება ეს

„ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის სურათის“ გამო \*

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის სურათში“ ნათლათ გამოთქვა მატკიცებელია ა. ხახანაშვილმა რანაირს მდგომარეობაშია არის დღეს ჩვენი ქვეყანა. ის, რასაც ავტორი ამბობს, ჩვენი ცხოვრების სამდგლი ფოტოგრაფიული სურათია და ითხოვს დახმარებას. და ჩვენ ვაღდებული ვართ აქ ხმა ამოვიდეთ, მაგრამ, ამისათვის ჩვენ არ წავალთ ჩვენი ისტორიის არხივში და თავს არ დავამტკიცებთ, რომ „ჭო, თამარის დროს კარგები ვიყავით“.

ისტორიულ გაკვეთილებიდანაც ვიცით, რომ ერთ დროს ვაჭრობით ძლიერი ფინიკიელები, ვაჭრობითვე მათზე უფრო გამაგრებულმა ბერძნებმა დააქციეს. საბერძნეთსაც მოხვდა ისტორიული სუსხი, ისინი ალბომიკემობით განვითარებულ რომაელებისაგან განადგურდნენ. მეტი არ იქნება, რომ აქ შემდეგი ვი-

6) იხ. მისი „La Propriété oncière en Belgique“ გვ. 271.  
 7) Ib. გვ. 40.  
 8) Ib. გვ. 276.  
 9) Ib. გვ. 291.  
 \*) იხ. № 1 „კვალი“ წერილი ბ. ა. ხახანაშვილისა.

შემდეგ გადავცე მკითხველს. იგივე ინგლისელ კაბიტაღისტებს ფულის დასაბანდობლათ და სიმკაცხურა სიამოვნებისათვის ჩვენი ქვეყნისაკენ იწვევს: წადით და ხსეთ ეს მშვენიერი ქვეყანა, არ მოტყუვდებით, ხსვის შემდეგ, მადლობით მომხსენებთ. არა მარტო მკვლე დროით, მთელ სუკუნეებით იქ დარჩენა-ჯი სანატრელია. „Go to the Caucasus“—წადით კავკასიაში. ასე ათავებს ის თავის წერილს. მაგრამ ამ გვარ სტუმრების დასახვედრათ და საქმის შესკრავათ ვართ თუ არა მომზადებულნი. აი კითხვა, რომელიც თხოვლობს ჩვენგან ხსენს.

ევროპულ კაბიტაღს ოთხი უმთავრესი გზა უყვარს: 1—საქონლის გადასატანი საშუალებანი; 2—თავისუფალი მუშა ხელი; 3—საქონლის თავისუფლათ გაცვლა - გამცვლა, 4—საკუთრების დაცვა, ანუ უშიშრობა. შეიძლება ზოგიერთი ამ კითხვათგანი დავიცვათ, კაბიტაღის მოთხოვნების დავუმოწოთ, მაგრამ თავისუფლათ საქონლის შემოტან-გატანა ანუ თავისუფალი ვაჭრობა (Free trade) ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება; მაგრამ მინდა და მინდა ეს არ არის ისეთი დაბრკობება, რომ უამისოთ არაფერი შეიძლებაღეს, თუ სხვა საჭირო საშუალებები მოიძებნება. თითოეული ჩვენი წარმოება ან ვაჭრობა უნდა იქნეს ვრცელი, თანაც მტკიცე და ევროპულ წესებზეაგებული და უცხოელთათვის ვარ-გაღებული. ეს იმას ნიშნავს, რომ შავი ქვის წარმოება თუ აბრეშუმისა, პამისისა, თუ მატყლის, ღვინისა, თუ ლუდის, შევიდეს ევროპულ წარმოებათა სერიაში ესე იგი, მათი წარმოება დამუარებულ იქმნას განვითარებულ ევროპულ ვაჭრობის წესებზე, რომელთათვის, ცხადია, შესაფერი ორგანიზაციების საჭიროა, — ორგანიზაციები ეკონომიური, სამრეწველო, სავაჭრო, საფუძვლიანი და სხვა. თითოეული ტიპის ორგანიზაცია ან სავაჭრო კაბიტაღს დიდი უხარბილეს ან აქციების გამოსცეს იმხარათ, როგორათაც ეს ევროპის დიდ სამრეწველო ვაჭრობაში ხდება. უამისოთ-გი შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ამოძრავდეს, ან, კიდევაც რომ ამოძრავდეს, უამწესოთ ვერ დასტოვებს ქართველ ხალხში ისეთს სიკეთეს, როგორსაც ჩვენ იქიდან მოველთ. ამის ნიშნები დღესაც ცხადათ ატოვია ჩვენს ხალხს. უოველ კუთხიდან გვესმის, რომ ჩვენი წარმოება და ვაჭრობა სხვებმა წაიღეს. ამ ზოგის ვერ შეგაკავებთ. უცხოელები შემოვიდნენ, მხოლოდ ჩვენ გვამართებს დავხვდეთ მათ მომზადებული, რომ მათი საშუალებით უხვათ ვისარკებოთ. აქ დიდი ასწარბიან, მაგრამ გაიხედეთ, ვინ არის მომქმედი! კაცი არ არის. საშწუნაროთ, კაცების დიდი კრიზისია. საჭიროა, შევადგინოთ კომიტეტი მძინარი და გულ-ხელ დავრეოთ კი არა, როგორათაც ჩვენ გვჩვენია, არამედ ფიზიკელი და მოქმედი, რომ მან შეისწავლოს ზირველათ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო დარგნი, შეადგინოს სამოქმედო გეგმა, ებრძოდეს დამბრკობებულ მიზეზებს და დაუახლოვოს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ევროპულ კაბიტაღს; მაშინ დავინახავთ, რომ ათს ან ოც დიდ წარმოებას-კი არა, ერთს ან ორსაც შეუძლია შესაძრობის ქვეყნის გული, გამოიწვიოს მისი მიურეუბული ძალ-ღონე და ახალი დროის ცხოვრებას მიადწიოს.

მაგალითათ აიღეთ აბრეშუმის წარმოება: უში მასდა გვაქვს, იათი მუშა ხელი ჩვენ ვართ, მაგრამ მინდა ვერ ვახერხებთ, რომ ეს მშვენიერი საქონელი თავიდან ბოლომდე ჩვენში ჩვენვე მოვაშინოთ და გაკეთებული როგორც ქართველს, ისე ინგლისელს და სხვა მხმარებელთ მივაწოდოთ. სხვისი ნაწარმები ჩვენში შემოდის და სდდება. ეს საკმაოთ კვიმტიტებს ჩვენი წარმოების არარობას და მასთან ჩვენი ხალხის სიღარიბეს. რადესაც შევიძლებთ რომელიმე წარმოების თავიდან ბოლომდე იმდენათ განვითარებას, რომ სიზღვარ-გარეთიდანაც კი იბარებ-

დენ ჩვენს ნაწარმებს, მაშინ შესანიშნავათ ამოძრავდება ქვეყნის უოველნიანი ძალ-ღონე.

ასეთი მომავალი კომიტეტის შემოქმედო სკანია. ის იქნება განვირუდლათ სტუმრის მიმღები, გამძლედი, ქვეყნის მხვეუნებელი, ის შეგვაჩვენებს საქმიანობას, საქმის ინიციატივას შეგუჩვევით და ეს არის ჩვენთვის საჭირო.

ლონდონი. ი. კაკაბიძე.

გურიის მთავრობითა სახურადლომოდ.  
II.

ზინა წერილში ვასხელებდი ადგილებს, სადაც დაბალი ხარისხის გრენას ასადებენ. ამით ღუქან-სამიკიტნებში ხშირად შეხვდებით გრენის ფერად-ფერად კოლოფებს ერთადვე სხიქა-ხვითან, დომ-ტარან-არავთან ჩამწკრივებულს, რომლებსაც დამ-დამობით, უსუფთაო ჰქერით მოწამლულ, ნოტიო სარდაფში ინახვენ და დღისით-გი ერთად სხვა საქონელთან ღუქანში გამოფენენ, შეუგნებულ შებრეშუშეთა თვალ ასახვევით. რასაც მოასწრებენ ღუქანში გასადებას, ხომ კარგი, რაც დარჩება და ჭიის გამოხვლის დროც მოაწვეს, აკიდებენ ხურჯინით ხურგზედ და გასწვევენ სოფელ-სოფელ სამეოთხედოდ დასარიკებლად. სოფელი დედაკაცი ეუბნება „არ მინდა თესლი, ორი სამი ძირი ბუფლი გვაქვს და იმის საფოფი ქე ვიუიდე“, ახვენებს კოლოფს. მუდუქე კანცვი-ფრებით ეუბნება: „ეს რათ ვარცა! ვინ დავატყუიდა შე საცოდვო? ხსენებარი არ გამოვა და, რაც გამოვა, ბუფლს ტუუიდა შე გიგამს, ცხსზე ასვლამდის დაიხრცება. შარშან მოვიტანე მავისთან თესლი და ერთი არ გამოდგა, დამღუშა კაცი, შესამედი ფასი არ ამიღია. აი ეს კოლოფი დაიტოვე, უოფლოთ გენდობი, თუ ივარგოს, მეოთხელი ხარკი მომეცი, თუ არ ივარგებს—ჩემი თესლი დაიკარგება, შენ ხომ არაფერს იზარალებო“ და ძალათ აწვდის ხელში. ისიც იტოვებს იმ იმედით რომ, რაც ფურცელი დააკვდება, მეზობლისგან იუიდას. მეზობელს ბუფლი არ რჩება, თითონ დაისვა ჭია. მიდის მეორე, შესამე სოფელში, ხან ოც-ორმოდ ვერსზედ და იქ უიდელობს 20—25 მანეთის ფურცელს, შრომობს მთელი ორი თვე და აკეთებს ან არაფერს, ან ხსენებარ ფუთამდის ხარკს. მეოთხელი გრენის ზატრანს უნდა მიუტანოს, დარჩება მას თუთხმეტი გირვანქა, რომ კარგ ფასებშიაც გაუიდას მიიღებს გირვანქაში ორ აბასს, სულ-გი ექვს მანეთს. რჩება გადასახადი ოც მანეთამდის ფურცლის ფასი, რომლისთვის შეიძლება სოფლანო საქონელი გაუიდას და მუქათთ ეკარგება ორი თვის შრომა. ასეთი მაგალითები თან-და-თან მცირდება, მაგრამ რაც არის, ისიც საშწუნარია. გრენას სამეოთხედლათ არიკებენ შეგნებულნი ზირნიც. თუმცა ამით დარიკებულ გრენას უმეტეს შემთხვევაში კარგი შედეგი აქვს, მაგრამ დროა შეურიგდეს იმ აზრს, რომ რამდენათ მათთვის სსარკებლათ სამეოთხედოდ გრენის დარიკება, იმდენათ სოფელელთათვის სსარადლოა. ხშირათ ამით ერთ კოლოფ გრენაზე 10—12 მანეთი შეხვდებათ, მაშინ როდესაც გრენის დირებულობა 3-4 მან. არ აღემატება და 7-8 მან. მეტის მიღება სოფელელთათვის, თავის საშრომში, ხომ დიდი საქმა.

მიუხედავათ იმ ხარადისა, რაც შებრეშუშეთ ხვდება უვარგისი, არეული და ისიც სამეოთხედოდ აღებული გრენით, არა ხაკლებ ხარადშია ხარკის შეიდეგები იმ მცირე ნაწილი ხარკის უიდეით, რომლებიც მოვეება არეულ გრენას. ცხადია, არეულ, სხვა-და-სხვა ფორმის გრენისგან მივიდებთ არეულ ხარკს: დიდრანს, ზატარაებს, სქელს, რომელსაც ბევრი ძათი აქვს, თხელს მცირე ძათიანს და სხვა. ამ არეულ ხარკს და არა ერთ გვარობას ძალიან ცუდი შედეგი აქვს ხარკის გაუიდასზე.



ზარკის შედეგები ცუდად უყურებენ ამგვარ არეულ ზარკს და შედარებით ნაკლებ ფასებში ეადულებენ. საჭიროა ჩვენი მეხბრე-სუშუები შეეცადონ ერთგვარი ჭიის გამოკვებას, რაც აუცილებლად მეტ სარგებლობას მოუტანს.

ს. ჭეიშვილი.

P. S. ზირველ თებერვლისათვის (აქაურა) დარჩა მარსელში გაუყიდავი 996,000 კილო ზარკი\*) ზარკის ამ დროს უფილა დარჩენილი 349,000 კილო—აბრეშუმი 200 ტონაში, თითოში სამ ფუთამდეა. ზარკის ამ დროს—100 ტონაში. ზარკის ფასი თან-და-თან კლებულობს. ესეა ფასობს 8 ფრანკი ერთი კილო ზირველი ხარისხის, მაგრამ შედეგად არაინაა. აბრეშუმის ფასი 36—40 ფრ. ერთი კილო. სიმინდის ფასიც დაიწია, ესეა იყიდება თებერვალ-მარტისთვის. 10—10<sup>1</sup>/<sub>2</sub> ფრანკი (3 მ. 75 კ.—3 მ. 93 კ.) ასე კილო (ექვსი ფუთი).

მარსელი.

ს. ჭეიშვილი.

**ჩვენებურ მთარგმნელთა საუბრადღებოდ.**

მეცნიერება გვასწავლის, რომ ყოველი ერი განვითარების დროს სამ უმთავრეს საფეხურს გაივლისო. პირველი, როდესაც ხალხი წარმოდგენის, ფანტაზიის მონაა; ამ ხანაში მისი გონებრივი მუშაობა გამოიხატება ზღაპრების, მითების შეთხზვაში. ამის მეტს არც თვითონ ის თხოულობს, მას სავსებით აკმაყოფილებს ჭკუის ამგვარი ნაწარმოებნი. ამ საფეხურზე ერს ძვირათ აქვს შემუშავებული მწერლობითი ხელოვნება. კიდევ მეტი: მას ასოები არ მოეძებნება. გადის დრო, ხალხი ასობს ჰქმნის ეს ნაბიჯი შესანიშნავია კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში. ასობის წყალობით მას საშუალება ეძლევა ჩასწეროს ჭკუის ნაყოფი, გულის ნდომანი და ამრიგად სხვასაც გაუზიაროს. აქედამ იწყება მეორე ხანა. ამ ხანაში ხალხი ცხოვრობს უფრო გრძობით. გრძობა და ფანტაზია—აი ესაა ქვაკუთხედი მაშინდელ აზროვნების პროცესისა. განვითარების ამ საფეხურის პირველი და უკანასკნელი ნიშნები ნათლათ გველაპარაკებიან ერის ცივილიზაციის პირველ საფეხურზე დგომას, მის კრიტიკულ ანალიზის გონებრივ სიღარიბეზე, ამ დროში ხალხი იკვებება საშუალო საუკუნის მსგავს ბელეტრისტული ნაწარმოებებით, ის იდეალური სათვალეებით და აუხსენლად დებულობს და შესცქერის ცხოვრებას.

საუკუნოები მირბიან!.. ჟამი იცვლება!.. tempora mutantur et homines...—vel potius,—ხალხის შეხედულება, მისწრაფება იცვლება. ადამიანი პოეტურ პრიზმას უკუაგდებს და უდგება რეალურ ნიადაგზე დამყარებულ ფაქტების ახსნას. თავის შემდეგ განვითარებაში ის საფრანგეთის მეცნიერ ქალ კლიმენსა როიესთან ერთათ თამამათ გაიძახის: „ფაქტი, ფაქტი და არაფერი მის გარეშე“.

ვინც ქართველთა ცხოვრებას დაჰკვირვებია, ის დაბეჯითებით იტყვის, რომ ჩვენმა ხალხმა უკვე დაიწყო მესამე სტადიაში ფეხის გადადგმა და უმრავლესობამ გადადგა კიდევ. მას არ აკმაყოფილებს „მრუდე“ ნაწარმოები, ის მეცნიერულ ცოდნას თხოულობს; ლიტერატურამ შეიგნო, რომ საზოგადოების სამართლიან მოთხოვნისას ანგარიშის გაწევა უნდა. დაიწყო, ცოტათ

თუ ბევრათ, მეცნიერულ წერილების წერა, მეცნიერულ შინაარსიან შრომების თარგმნა; გამოვიდა რამდენიმე ორიგინალური მეცნიერული ნაწარმოებიც. საქმე გაიჩარხა, მუშაობა თუმცა ნელი ნაბიჯით, მარა მაინც წინ მიდის. გავიჩინდენ სპეციალური მთარგმნელებიც. საუბედუროთ, თითქმის ყველა ნათარგმნ მეცნიერულ შრომას ჩვენში ერთი სენი სჭირს: ის ხალხისათვის სრულიად გაუგებარია. ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურას არ ეტყობა დემოკრატიზაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას; ყოველი ნაწარმოები ემსახურება ესრედ წოდებულ „საშუალო ინტელიგენტს“.

ჩვენში ჯერ თითქმის არც-კი დაწყებულა ნამდვილი პოპულარიზაცია. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, მივაწოდოთ გონებრივი განვითარებისათვის საჭირო მასალა თვით ხალხს. ამგვარი შრომა გაცილებით მეტი ნაყოფიერი და სამადლოც იქნება და შრომა შედარებით უფრო ადვილიცაა!.. თუ დღეს დამახინჯებულად გადმოცემულ ტექსტს ადგილი აქვს თარგმანში, მაშინ ის ძლიერ შემცირდება. უბრალოთ გამოთქმული აზრი უფრო ადვილი სათარგმნია და ამისთანა შრომას დიდნიჭი და გამოცდილებაც არ სჭირია და დროსაც მცირეს თხოულობს. სტუდენტები, მასწავლებლები, ექიმები, მღვდლები, ადვოკატები—ყველა იშრომებს ამ ნიადაგზე. დიახ, ჩვენთვის საჭიროა სახალხო, ანუ უკეთ, ხალხისათვის გასაგებ წიგნების თარგმნა, რადგან ის უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს.

კარგი და სასურველი იქნება, რომ ჩვენი მთარგმნელები ამ ნიადაგზე შეჩერდებოდნენ. საშუალო ინტელიგენტს, თუ გაჭირდა, უცხო ენაზედაც შეუძლია ცოტათ თუ ბევრათ კითხვა, მაგრამ ხალხი-კი ამას მოკლებულია!.. სტ. ვ. შავლია.

**სამეცნიერო ცნობები.**

II.

მაკრობების ბედადბაღი ორგანიზმის სიკვდილის შემდეგ.

ყოველი გადამდები ავადმყოფობა წარმოადგენს ეპიზოდს იმ საერთო ბრძოლისას ყველასთან და ყველას წინააღმდეგ, რომელიც მუდამ წარმოებს ცხოველთა სამეფოში. თუ დაავადმყოფებული ორგანიზმი აჯობებს მიკრობებს, მაშინ ის მორჩება, თუ ვერა და—მოკვდება. რა მოსდით უკანასკნელ შემთხვევაში მიკრობებს? როგორა სარგებლობენ თავიანთის გავარჯიშებით? ამ საკითხის პასუხს ვპოულობთ ერთ ჟურნალში. ცხოველებს (ხშირათ ზღვის ღორებს) უშხაპუნებდენ განგებ მომზადებულ—(Культ. баки) მიკრობებს. ოც-და ათი საათის შემდეგ (ამ დროს ცხოველი კვდებოდა) ლეშს ახვედნენ ტილოებში, შემდეგ დებდნენ ხის ან ცინკის ყუთში და მერე ფლავდენ ნესტიან მიწაში, ხან ქვიშაში. განსაზღვრულ დრო გამოშვებით ლეშს იღებდენ მიწიდან და იკვლევდენ—რა და რა ჯიშის ბაქტერიები შენახულან ლეშში. ამ სახით გამოკვლეული იყო ბაცილები საოფლისა, ყელ ჰირვებისა, შავი ჰირისა და ტლექის. ყოველთვის აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში ავადმყოფობის გამჩენი მიკრობები ძალიან მალე იხოცებიან; მაგალითად: საოფლის ბაცილები 15—20 დღის შემდეგ. ხუნაგისა—15—20 დღეს, ხოლერის ბაქტერიები—28 დღის შემდეგ, შავი ჰირის ბაქტერიები—სამი კვირის, და ტლექის ბაცილები—7 კვირის შემდეგ. უნდა შევნიშნოთ, რომ დამარბულ მძორში უფრო მალე ჰკარგავენ ეს ბაქტერიები გადამდებ ძალას. ეს შედეგი, რასაკვირველია, საყურადღებო და სასარგებლოა ჰიგიენის მხრივ. ამნაირათ ეს გამოკვლევანი გვაჩვენებენ, რომ ავადმყოფობის გადამდები მიკრობები გამოდიან გამარჯვებულნი დაავადმყოფებულ ორგანიზმთან ბრძოლიდან და სწორეთ ამ გამარ-

\*) ოფიციალური ცნობა „Syndicat du commerce des soies de Marseille“-იდან.

ჯგვებით ჰქმნიან თავიანთთვის ისეთს პირობას, რომელშიაც სიცოცხლე აღარ შეუძლიანთ და უნდა გაწყდნენ. ბრძოლის ასეთი შედეგი ცნობრებაშიც ხშირია, თუმცა, სწორე ვთქვათ, ვერაფერი სახეიროა, რადგანაც იგი თანასწორათ დამლუბავია ორივე მებრძოლ მხარისათვის. მე მგონია, ეს ლოდიკური დასკვნა კლინის დაკვირვებით, საინტერესოა ბიოლოგიის მხრივაც.

საქველმომქმედო საქმი.

I.

მოსკოველი ქართველი სტუდენტები უდრემს მადლობას უცხადებენ შემდეგს რედაქციებს ჟურნალ-გაზეთების უფასოთ მწოდებისათვის წასრულ 1900 წელში: 1) „კვალის“ რედაქციას, 2) „ჯგჯგისისს“, 3) „მწვემისისს“, 4) „Пастырь“-ისა და 5) „Кавказское Сельское Хозяйство“-ასს.

მოსკოველ ქართველ სტუდენტების მინდობილობით სტ. მ. ასათიანი.

II.

უდრემს მადლობას ვუცხადებ იმ მატეველ ზნით, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ღარიბ სტუდენტს ნიკ. ნახუნდის შვილს. სია შემწეობისათვის: ბ. ბ. გიზიმ, მ. გლიგო და ვახუნდის შვილი—ორივე მხეთი; ილიკო ნადირაძემ, რუსულმა იამ, ნ. ყარანგოზოვმა, ლ. ლომიძემ, ა. სარაზინმა, სემედოვმა, მ. მ. გ. აღახვარდოვმა, გ. ჭავჭავაძემ, გ. ისმაილოვმა, ანანოვმა, ე. გუმელმა, ანა განდუნდისმა, ნინა ტეტიშვილისმა, ნ. ბარსამოვმა, გიორგი ბაქრაძემ, ტერისრაქლოვმა, ი. გიზიმ, ა. გიზიმ, მარიამ იარაღოვისმა, დემიდოვმა, ალექსანდრე ნადირაძემ—თითო მხეთი; ი. ნადირაძემ, თ. ნადირაძისმა, მ. კულაგინმა, ჩემენკისმა, ს. კაბაძემ, ბ. ღარიბოვმა, გ. ტავიკოვმა, ალავიძემ, განჯუნდისმა, ა. კანანმა, გ. გრიგოლიამ, ა. ჩილიჩენკომ, შადოვიკმა, ბარბალაშვილმა, ს. სანაძემ, ნაბიბეკოვმა, მ. თოფურაძემ, ლ. კუზნეშვილმა, სედაკმა, ს. კახრეიძემ—ათათი მხეთი; რამდენიმე ზნით სუთ-სუთი მხეთი და თითო ანაო. ეს თუელი სრულათ გავუგზავნე შემოსხუნებულ ზიხს თუარიკში. ანა ნადირაძისა

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი.

открыта подписка на 1901 годъ.  
НА ЕЖЕНЕДЕЛЬНУЮ ГАЗЕТУ  
ПРАВО

Выходящую безъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена, и Н. И. Лазаревскаго, при ближайшемъ участіи Г. В. Гессена, О. О. Грузенберга, пр.-доц. А. И. Камника, В. Д. Набокова, проф. Л. И. Петражицкаго и пр.-доц. В. М. Устинова, по прежней программѣ.

Годовые подписчики получаютъ въ качествѣ приложеній: Сборникъ рѣшеній кассационныхъ департаментовъ и общаго собранія 1-го и кассационныхъ департаментовъ и кассационныхъ департаментовъ Правительствующаго Сената и „Закондательный Вѣстникъ“, въ которомъ будутъ помѣщены всея распубликованныя въ 1901 г. общія узаконенія, подлежащія внесенію въ Сводъ Законовъ и тѣ указы Пр. Сената и административныя распоряженія, которые представляютъ существенное значеніе для разъясненія смысла законовъ.

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „Правъ“ бесплатные отвѣты (въ количествѣ не болѣе 3-хъ) на юридическіе вопросы.

Въ теченіе 1899 и 1900 г.г. въ газетѣ Право помѣстены статьи и замѣтки слѣдующія лица:

К. К. Арсеньевъ, М. Бейлинъ, В. Л. Бинштокъ, А. Л. Боровиковскій, В. И. Борткевичъ, А. Бугаевскій, Г. А. Бѣлковскій,

пр.-доцентъ Ф. А. Вальтеръ, Г. Л. Вербловскій, М. М. Винавертъ, Ал. Н. Вольскій, проф. А. К. Вульфертъ, Л. В. Гакгольдъ, М. И. Ганфманъ, В. Л. Глинка, М. С. Гольденвейзеръ, проф. А. Х. Гольмстенъ, прив.-доц. М. Б. Горенбергъ, Я. К. Горольскій, др. Hans Gross, М. О. Грузенбергъ, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, И. С. Денисьевъ, Гр. А. Джаншиевъ, И. Дружина, проф. Н. Л. Дювернуа, В. Б. Ельшевичъ, прив.-доц. А. А. Жилиленко, К. П. Змирловъ, проф. И. А. Ивановскій, Б. Кетриць, проф. В. Д. Кузьминъ-Караваевъ, Д. А. Левинъ, Д. Д. Лобановъ, М. А. Лозина-Лозинскій, В. О. Люстихъ, Д. Н. Мандельштамъ, М. С. Маргулисъ, П. Г. Мироновъ, Г. В. Михайловскій, Д. Я. Исраимен, В. Михалевиць, Э. М. Моргулисъ, проф. С. А. Муромцевъ, М. И. Мышь, В. А. Мякотинъ, прив.-доц. С. П. Никоновъ, др. Oertmann, Ф. И. Осецкій, М. Г. Осинскій, П. Э. Панкратьевъ, пр.-доц. М. Я. Пергаментъ, пр.-доц. А. А. Пиленко, С. Ф. Платоновъ, П. А. Потѣхинъ, И. М. Рабиновичъ, Э. И. Родичевъ, прив.-доц. Н. Н. Ровинъ, М. И. Свѣшниковъ, В. И. Семевскій, В. Д. Съасовичъ, Е. Н. Тарновскій, П. А. Тулубъ, Г. Тумановъ, И. М. Тютрюмовъ, И. О. Фесенко, проф. И. Я. Фойницкій, В. В. Хижняковъ, проф. П. П. Цитовичъ, проф. Н. М. Цытовичъ, И. Д. Чистяковъ, К. В. Шауровъ, Б. В. Шалландъ пр. Г. Ф. Шершеневичъ, Вл. Шлезингеръ, Гр. И. Шрейдеръ.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей съ существующей судебною и судебно-административною практикою, а также разработку этой послѣдней, „Право“ уделяетъ широкое мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ и административныхъ постановленій, представляющихъ принципиальный интересъ, причемъ, между прочимъ начиная съ осени 1899 г., въ „Правѣ“ помѣщались отчеты о всехъ дѣлахъ, разсмотрѣнныхъ въ кассационныхъ департаментахъ Правительствующаго Сената.

Подписная цѣна; на годъ съ доставкою и пересылкою 7 руб., на полгода 4 руб. Допускается разсрочка: при подпискѣ 4 р. и къ 1 мая 3 р. За границу а годъ—10 руб. Отдѣльные нумера продаются по 20 коп.

Главная контора: С. Петербургъ, Дмитровскій пер. № 6.

საბოლოოვიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებანა გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს **გაზარ-თოვებული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

**რედაქციისაგან:** რადგაც ახალწლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში ჩადგა, ამისათვის შესაძლებლად ვცანით გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაბეჭდვას შეტანას შეუკუნის ევკლა შესანიშნავ მადღაწეთა სურათები (ეგრძის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურათ ღირს: თბილისში—7 მან., თბილისს გარეთ—8 მან.; ნახევარი წლით: თბილისში—3 მან. 50 კ., თბილისს გარეთ—4 მ., ხოლო სამი თვით—2 მ. თითო ნომერი—სამ შუურათ.

ხელის-მომწერებს შეუძლიათ წლის თუელი ნაწილ-ნაწილათ შემოიტანან.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თბილისში—წერა-კით. გამოვ. საზოგ. კანცელარიაში (სახსლის ქ. სათავ.-აზნ. ქარვასლა). რკინის გზის სადგურზე—მირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში (საბოროს ქ. № 15, ალექსანდროვის ბაღის ახლო).

ქუთაისში: მიტროფანე ლადიქსთან და ვ. ბუენევიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფსო სამკითხველოში; ოზურგეთისა და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ქიათურაში—კ. მოდებაძისთან და ყვირილაში—ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: **თიფლის. Редакция „Квали“.**